საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 25 ოქტომბერი. 2019 წ. №212 (8878) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

მიზანი: ნატო

ეს ყბადაღებული V (მეხუთე) მუხლი...

8

რა არის ნატოს ძარტიის მეხუთე მუხლი? რატომ არის ის მნიშვნელოვანი? შეიძლება თუ არა ძვეყანა ნატოში სრული ტერიტორიით გაწევრდეს, მაგრამ ალიანსის კოლექტიური თავდაცვა ერთ ნაწილს შეეხოს?

სალომე ზურაბიშვილი იაპონიის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იაპონიაში ვიზიტის ფარგლებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრს სინძო აბეს შეხვდა. ამის შესახებ ზურაბიშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

„ვიზიტის დროს დავრწმუნდით, რომ საქართველო და იაპონია ძალიან მეგობრული ერები არიან, რომლებიც თანამშრომლობენ ვაჭრობაში, ტურიზმს და კულტურაში. ჩვენი ამოცანა ამ კავშირების გაძლიერებაა“.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ტოკიოში 2020 წელს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საპატიო პრეზიდენტს და იაპონიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს იოშირო მორისს შეხვდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრისას საუბარი შეეხო სპორტის მიმართულებით საქართველო-იაპონიის ურთიერთობას და ტოკიოს ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშების საორგანიზაციო საკითხებს. იოშირო მორი სალომე ზურაბიშვილს დაჰპირდა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ყველაფერს გააკეთებს საქართველოს სათანადო მასპინძლობისთვის.

რას ითხოვს კრემლი თბილისისგან?!

6

ახალ თაობებს ხელკეტებით ვერ შეაჩერებ!

შუშის სასახლის მეოცნებე

მარიალს ვიცავ!..

5

აფოცის ოკუპაციის გზა-მკვლევი

4

17 ქართული ფილმი სამშობლოში ბრუნდება

12

მინდელის მაღაროში

4

მეშახტეები გაფუჭებული აპარატურით მუშაობდნენ

„არა შურისგებისთვის ჩემდა“

მტერი „სექსუალური დესანტის“ ნილაბქვეშ...

7



გიორგი გახარია: ჩვენ დიდ პატივს ვცემთ წინადადებას, რომელიც...

საქართველოს **მხარდამჭერი აქტის წარმატებული კენჭისყრა, თან ერთხმად, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მაღალი ხარისხის პარტნიორულ ურთიერთობას, რომელიც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან გვაქვს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარიამ** განაცხადა.

პრემიერი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტის მიღებას მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გამოეხმაურა. მისი თქმით, პირველი საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობაა.

„ასევე ერთმნიშვნელოვნად ხაზგასმულია საქართველოს უსაფრთხოების კონტექსტის გაძლიერების აუცილებლობა და, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ იმ წინადადებას, რომელიც გამოთქმული იყო ამ აქტში შესაბამისი შესაძლო სანქციების დაწესების შესახებ“, — განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური კომპონენტი.

„ასევე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ამ აქტის ეკონომიკური კომპონენტი, სადაც ხაზგასმულია შესაძლო თავისუფალ სავაჭრო რეჟიმზე მუშაობის გააქტიურება. ეს ყველაფერი სრულიად ახალ ხარისხობრივ საფეხურზე გადაიყვანს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას.

ასევე მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ ეს არის დადასტურება იმ წარმატებული რეფორმების, წარმატებული დემოკრატიზაციის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში მიმდინარეობს. ჩვენ იგივე შემართებით, კიდევ უფრო მეტი შემართებით უნდა გავაგრძელოთ ეს ხაზი“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

კონსტანცასა და ბათუმის პორტს შორის საკონტეინერო გემი ინიშნება

საქართველოს **რკინიგზის ინიციატივით, შავ ზღვაზე, პორტ კონსტანციდან (რუმინეთი) ბათუმის პორტამდე საპარტნიორო საკონტეინერო გემის დანიშვნისა და მიმოსვლის შეთანხმებას ხელი მოეწერა.**

სამმხრივი შეთანხმება სს „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილ კომპანიას „GR ლოგისტიკა და ტერმინალებს“, „აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სანაოსნოსა“ და რუმინულ კომპანია „გრამპეტს“ (GRAMPET) შორის გაფორმდა. „GR ლოგისტიკა და ტერმინალებსა“ და „გრამპეტს“ შორის გაფორმებული მემორანდუმი შავ ზღვაზე საფიდერო მიმოსვლას ისახავს მიზნად. მემორანდუმის თანახმად, ახალი რეგულარული საკონტეინერო გემი ბათუმის პორტს რუმინეთში კონსტანცას პორტთან უმოკლეს ვადებში დააკავშირებს. გადაზიდვის პროცესის გამარტივებული პროცედურა დერეფანში სატვირთო გადაზიდვის მოცულობის ზრდას შეუწყობს ხელს.

აღნიშნული მარშრუტის უპირატესობას, საქართველოს გავლით, ევროკავშირის ბაზართან პირდაპირი წვდომა წარმოადგენს. ჩინეთიდან ევროპის ბაზრისთვის განკუთვნილი სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვის დრო 15 დღემდე შემცირდება. სატვირთო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის სფეროში ეფექტური და კვალიფიციური მომსახურება გლობალური ეკონომიკის ზრდაზე უდიდეს როლს თამაშობს.

აღნიშნული მემორანდუმის ხელმოწერით საქართველოს რკინიგზის შვილობილი კომპანია „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ საკუთარ წვლილს შეიტანს საქართველოს სარკინიგზო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ კომპანია „გრამპეტი“ სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების სფეროში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა ევროპაში. ყოველწლიურად GRAMPET-ჯგუფს თითქმის 22 მილიონი ტონა ტვირთი გადააქვს.

რუსეთი სომხეთს შემოწყრა...

რუსეთი **სომხეთს იარაღის მიწოდების ტენდერის შეუსრულებლობის გამო, საპროტესტო ნოტას უგზავნის,** — ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

ნოტა 2019 წლის 22 ოქტომბრითაა დათარიღებული და მიმართულია სომხეთის თავდაცვის მინისტრ დავიდ ტონოიანისადმი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსულ კომპანია ORSIS-ის ტენდერში მონაწილეობაზე უარი ეთქვა.

„სომხურმა მხარემ, სრულიად უსაფუძვლოდ შეიყვანა კომპანია არაკეთილსინდისიერი მომწოდებლების სიაში“,— ნათქვამია დოკუმენტში.

როგორც რუსული სააგენტოები იტყობინებიან, ჩანაწერი ახლა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშია და მალე დიპლომატიური არხებით ერევანში გადაიგზავნება.

ცნობისთვის, ORSIS არის საწარმოო ტექნოლოგიების ჯგუფის წევრი. იგი ეწევა მცირე იარაღის, ვაზნების და სპეციალური ოპტიკის წარმოებას და მომარაგებას.

ნათია თურნავა ტყუის თუ თემურ ჭიჭინაძე?!

თბილისის **აბრეშუმის გზის ფორუმის საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების თემატურ პანელზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ** საქართველოში შექმნილ ბიზნესკლიმატზე, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელობაზე და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე ისაუბრა. მისი განმარტებით, ენერგეტიკა საინვესტიციოდ ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ დარგად რჩება. ეს კი მინისტრის თქმით, არის იმ რეფორმების და ბაზრის დერეგულაციის შედეგი, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს.

ენერგეტიკის სექტორში შექმნილ ვითარებაზე „კომერსანტი“ ახლახან წერდა. თუმცა დარგის ექსპერტების პოზიციები ეკონომიკის მინისტრის განცხადებისგან რადიკალურად განსხვავებული იყო. ისინი აცხადებდნენ, რომ საქართველოს მთავრობაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ენერგეტიკაში პროცესები გაუარესდა. **ენერგეტიკის აკადემიის წევრი თემურ ჭიჭინაძე** განმარტავდა, რომ ენერგეტიკის მიმართულებით მმართველ გუნდს ხედვა და სტრატეგია არა აქვს. ენერგეტიკოსის შეფასებით, მთავრობის არასწორმა პოლიტიკამ ენერგეტიკის სექტორს დიდი ზიანი მიაყენა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არანირი გაუმჯობესება არ ყოფილა. უბრალოდ, შენარჩუნდა ის მავნე ტრადიციები, რომელიც იყო დანერგილი „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში. დინამიკაში თუ განვიხილავთ, ვერც ერთი კომპონენტით წინსვლას ვერ ვხედავ. აღირიცხება მხოლოდ ტარიფების ზრდა“, — განმარტავდა თემურ ჭიჭინაძე.

ენერგეტიკის სექტორში, რომ სერიოზული პრობლემებია, ადასტურებდა თურნავას გუნდის წევრი, დეპუტატი **რევაზ არველაძეც**. მისი თქმით, ენერგეტიკაში მდგომარეობა არასახარბიელო იყო, ხოლო სამთავრობო ცვლილებების შემდეგ, კიდევ უფრო არასახარბიელო გახდა.

„ენერგეტიკა წინმსწრები ტემპით უნდა ვითარდებოდეს, რათა ეკონომიკის განვითარების დამამუხრუჭებელი არ გახდეს. დღეს იმდენად სერიოზული პრობლემებია ენერგეტიკაში, რომ წინმსწრები ტემპებით კი არა, ელექტროენერგიის მოხმარების ტემპებსაც ვერ მიჰყვება ენერგიის წარმოების ტემპი. ენერგეტიკა არის ის დარგი, რომელიც არის ქვეყნის ხერხემალი, რადგან ენერგეტიკული უზრუნველყოფის გარეშე ვერც ერთი დარგი ვერ იარსებებს“, — ასე აფასებდა ენერგეტიკის სექტორში შექმნილ ვითარებას „ქართული ოცნების“ წევრი რევაზ არველაძე. საქართველოს მთავრობაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ენერგეტიკაში პროცესების გაუარესებას ადასტურებს ენერგეტიკის სექტორში ჩადებული ინვესტიციების კლება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები შემდეგია:

2007 — $ 331 მილიონი; 2008 — $ 294 მილიონი; 2009 — $ 2 მილიონი; 2010 — $ 26 მილიონი; 2011 — $ 212 მილიონი; 2012 — $ 179 მილიონი; 2013 — $ 246 მილიონი; 2014 — $ 190 მილიონი; 2015 — $ 123 მილიონი; 2016 — $ 145 მილიონი; 2017 — $ 280 მილიონი; 2018 - $ 120 მილიონი.

ბაჩო ადამია

დავით ჭიჭინაძე: რამდენიმე ასეულ მილიონად შეფასებული ქონება ნათია თურნავამ 7 მილიონ დოლარად გაასხვისა

არსებობს **ყოფილი ფინანსთა მინისტრის, კახა ბაინდურაშვილის ჩვენება დღევანდელ ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავაზე, სადაც საუბარია რამდენიმე ასეულ მილიონ ლარად შეფასებული ქონების 7 მილიონი დოლარის ეკვივალენტ ლარებში გასხვისებაზე, — ამის შესახებ დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე აცხადებს.**

როგორც ჭიჭინაძე აღნიშნავს, ბაინდურაშვილმა, ჩვენება 2013 წელს ფინანსურ პოლიციაში მისცა, როდესაც ხელმძღვანელი ფარცხალაძე იყო.

„მოგვიანებით ფარცხალაძე პროკურორი ხდება, საქმე კი თაროზე ინაცვლებს, როგორც არა ერთი საქმე მაღალ ეშელონებში არსებულ კორუფციულ ფაქტებზე. 13-მილიარდიანი ბიუჯეტი კი, კორუფციის ისეთ გასაქანს აძლევს ბევრს, რომ შევარდნაძის დროინდელი კორუფციაც კი ვერ მივა ამ დონემდე. ამის ერთ მაგალითად მინისტრი თურნავაც საკმარისია, ხან ბიზნესს რომ ემსახურება და ხანაც მინისტრის მოადგილეა, ან მინისტრი. ბაინდურაშვილი ჩვენებაში ადასტურებს, რომ მისი ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, მოხდა მანამდე უკვე გაკოტრებული სს„თბილსრესის“ სამეურვეო ქონების აუქციონის წესით გაყიდვა და ასახელებს თურნავას, ენუქიძეს, მიქელაძეს. მისი განმარტებით, სს „თბილსრესის“ გაკოტრების საქმის წარმოებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ფინანსთა სამინისტროში კურირებდნენ მაშინდელი მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე და მაშინდელი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ნინო ენუქიძე“, — განაცხადა ჭიჭინაძემ.

მისივე თქმით, გარიგება „საქართველს ინდუსტრიულ ჯგუფს“ და სამინისტროებს შორის ხდებოდა.

„ბაინდურაშვილის ჩვენების მიხედვით კი: „მე არაფერს მეკითხებოდნენ, თვითონ დაალაგეს ყველაფერიო.“ არადა, რამდენიმე ასეულ მილიონად შეფასებული ქონება 7 მილიონ დოლარის ეკვივალენტ ლარებში გაასხვისეს და გარდა იმისა, რომ მაშინდელი სავალუტო კურსი გაცილებით დაბალი იყო, არც ერთი პირობა დღემდე შესრულებული არ არის. კერძოდ, სამეურვეო ქონების გადაცემის შემდგომ, კორპორაციას შესასრულებლად განესაზღვრა ვალდებულება, არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე სს „თბილსრესის“ ტერიტორიაზე აეშენებინა 100-150 მგვტ. სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე თბოსადგური, რაც არ განხორციელებულა“, — აცხადებს ჭიჭინაძე.

ნატოს მასშტაბური სამხედრო წვრთნებს „ევროპის დამცველი 2020“ საქართველოც უმასპინძლებს

ნატოს მასშტაბური სამხედრო წვრთნები „ევროპის დამცველი 2020“ მომავალი აპრილ-მაისში 10 ქვეყანაში, მათ შორის – გერმანიაში პოლონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, ესტონეთსა და საქართველოში გაიმართება. აშშ-ის ევროპულ სარდლობაში აცხადებენ, რომ სამხედრო სწავლება დაეხმარება ნატოს მიზნებს, აამაღლოს მზადყოფნა ალიანსის შიგნით და შეაკავოს პოტენციური მოწინააღმდეგეები.

სამხედრო სწავლებაში 20 000 ამერიკელი სამხედრო მიიღებს მონაწილეობას, რაც ბოლო 25 წელიწადში სამხედრო წვრთნებისთვის ევროპაში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის განთავსების პირველი შემთხვევა იქნება. სწავლებაში მონაწილეობას მიიღებს 8 000 ევროპელი ჯარისკაცი.

მასშტაბური სამხედრო წვრთნების მანევრების ლოგისტიკური ცენტრი გერმანია იქნება. მანევრებში, აშშ-ისა და გერმანიის გარდა, მონაწილეობას ნატოს წევრი კიდევ 15 სახელმწიფო მიიღებს. ამერიკელი ჯარისკაცები და ტექნიკა გერმანიაში თებერვალში ჩავა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში წვრთნები აპრილში დაიწყება.

„სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელი **ზურაბ აგლაძე** აცხადებს, რომ ნატოს მასშტაბური სამხედრო წვრთნების „ევროპის დამცველი 2020“-ის საქართველოში ჩატარებას უდიდესი დატვირთვა აქვს და კარგია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდება ეს წვრთნები, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ტერიტორიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა და, რომ დასავლეთი ჩვენ გვიყურებს როგორც სტრატეგიულ პარტნიორს.

„ისეთ ქვეყანაში, რომელიც არ არის მისი პარტნიორი, ნამდვილად არ ჩატარდებოდა ამ მასშტაბის სამხედრო სწავლება და ასევე, რაც მნიშვნელოვანია, ეს არის დემონსტრირება და ერთგვარი მესიჯი დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ, რომ ეს ქვეყანა არის ჩვენი პარტნიორი და ჩვენ მზად ვიქნებით, ყველაფერში დავეხმაროთ მას. ამ სწავლებით კარგად წარმოჩნდება, რომ ეს არის ევროპის დაცვის სწავლება და აგრესიის შემთხვევაში გამოჩნდება, რომ ევროპის დაცვის ერთ-ერთი კომპონენტი არის საქართველო“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ზურაბ აგლაძემ**.

ბრიგადის გენერალი, ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** აცხადებს, რომ მთავარი ინტერესია ნატოს აღმოსავლეთ საზღვრების, ასევე პარტნიორი (ასპირანტი) ქვეყნების უსაფრთხოების განმტკიცება. ეს კი, მისი შეფასებით, შეუძლებელია შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების გარეშე.

„ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანია აშშ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზება, რადგან ამერიკული სამხედრო ხომალდების წვდომა შავ ზღვამდე მხოლოდ თურქეთის გავლითაა შესაძლებელი. თუ ხმელეთზე ნატო-რუსეთის დაჯგუფებები ერთმანეთის საპირწონედ შეიძლება ჩაითვალოს.

ნატოს გააქტიურება სწორედ რუსეთის გაძლიერების საპასუხოდაა და არა პირიქით, როგორც ამას რუსეთის მედია ხატავს“, – განაცხადა **ამირან სალუქვაძემ**.

საგარეო საქმეთა მინისტრის **დავით ზალკალიანის** განცხადებით, ნატოს სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებები მიანიშნებს იმაზე, რომ შავი ზღვა და საქართველო არის პრიორიტეტული ამერიკასთან ურთიერთობის კუთხით და მათ შორის, ნატოს კონტექსტში.

„რაც შეეხება თავად ამერიკელების ინტერესს შავ ზღვაზე, დიახ, რა თქმა უნდა, ამერიკელებს აქვთ ინტერესი შავ ზღვაზე და როგორც აქამდე იყო, მომავალშიც იქნება შავი ზღვა და მთლიანად რეგიონი ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესის არეალში. ბოლო გადაწყვეტილება, რომელიც 2018 წელს იქნა მიღებული ბრიუსელის ნატოს სამიტზე, სწორედ შავი ზღვის უსაფრთხოების თემატიკას განსაზღვრავს და აქ არის კონკრეტული მიმართულებები, რომელიც მოხდა სამიტის გადაწყვეტილებებში, საქართველოსთან მიმართებაში და სწორედ შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საუბარია ისეთ კონკრეტულ თემებზე, როგორიცაა აბორდაჟის ჯგუფის ვარჯიშებში მონაწილეობა.

ბუნებრივია, როგორც აქამდე, ისე მომავალშიც შავი ზღვა იქნება მთავარი სტრატეგიული პარტნიორის სტრატეგიული ინტერესის სფეროში და ჩვენ, ყველა ამ მიმართულებით აქტიურად ვითანამშრომლებთ მათთან. ჩვენ სწორედ ფაქტებით გამყარებული უერთიერთობა გვაქვს, როგორც აშშ-თან, ისე სხვა ნატოელ პარტნიორებთან“, – განაცხადა **დავით ზალკალიანმა**.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, თუკი ამერიკა შავ ზღვას დათმობს, შავი ზღვის სივრცე აღმოჩნდება თურქეთის, ან რუსეთის ხელში. არც ერთი ეს ხელი ამერიკისთვის სანდო არ არის. პოლიტოლოგის განცხადებით, მოცემულ პირობებში ყველაზე მეტ ნდობას იმსახურებს საქართველო.

„ამერიკას სწორედ საქართველო მიაჩნია თავის საყრდენ ქვეყნად და ამიტომ აიღო ორიენტაცია საქართველოზე. ბუნებრივია, რომ ეს ჩვენთვის საყურადღებო მოვლენა არის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ვართ ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი. მნიშვნელოვანია კიდევ იმ თვალსაზრისით, რომ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას დაუდგა პრობლემა, რომ იმ მსოფლიოში, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა თავისი ადგილის პოვნა. ყველა ქვეყანას ჰქონდა თავისი სივრცე მოძებნილი, ეს ახალი ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მერე წარმოიშვნენ, რჩებოდნენ უფუნქციოდ. აი, ამ უფუნქციოდ დარჩენას საქართველო გადაარჩინა ბაქო-ჯეიჰანის იმ პროექტმა, რომლისთვისაც იბრძოდა შევარდნაძე, ახლა გაჩნდა ფუნქციის შეძენის ახალი მომენტი. სტრატეგიული მნიშვნელობა არის ის ახალი ფუნქცია, რომელიც თუ ქვეყანამ შეიძინა, ასეთ შემთხვევაში ქვეყანა მართლაც მნიშვნელოვან ფუნქციებს შეიძენს“, – აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ**.

მოამზადა **მარიამ ლაბაძემ**

ფრანგი ინსტრუქტორები ქართველ მეხანძრე-მაშველებს წვრთნიან

სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური ფრანგი ინსტრუქტორები 22 ქართველ მეხანძრე-მაშველს ერთკვირიან სწავლებას უტარებენ და ხანძრის ქრობის მიმართულებით ამზადებენ. მეხანძრე-მაშველები სასწავლო მოედანზე სიმაღლიდან დაეშვნენ და „დაშავებული“ მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე უვნებლად გამოიყვანეს, ასევე, ძლიერი დაკვამლიანების პირობებში და ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გაჩენილი იმიტირებული ხანძრები ჩააქრეს.

შს მინისტრი ვახტანგ გომელაური და თბილისის მერი კახა კალაძე იმ მეხანძრე-მაშველთა ჯგუფს შეხვდნენ, რომლებმაც მაღაროებში სამაშველო ოპერაციების წარმოების ინტენსიური წვრთნა სამხრეთ აფრიკაში გაიარეს. შსს-ს ცნობით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ამ დროისთვის უკვე ჰყავს მაღაროში სამაშველო ოპერაციების წარმოების მიმართულებით მაღალ დონეზე მომზადებული პროფესიონალები, რომლებსაც წვრთნა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ბაზაზე აქვთ გავლილი და სამომავლოდ ქართველ კოლეგებს გადაამზადებენ. შეხვედრის დასასრულს სიმბოლური ღონისძიება გაიმართა, სადაც მერმა, შს მინისტრმა და მეხანძრე-მაშველებმა 100 ფიჭვი დარგეს.

ცხრა თვეში 640 კილომეტრი გზა შეაკეთეს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე მოხსენებით წარსდგა. აღინიშნა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში 640 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განახორციელა, რაც, უწყების ინფორმაციით, წინა წლის მთლიან, წლიურ მაჩვენებელზე სამჯერ მეტია. მათივე ცნობით, მიმდინარე წელს სულ 313 ხელშეკრულება გაფორმდა, რომელთა ჯამური ღირებულება 725 მილიონი ლარია, ტენდერებისგან მიღებულმა ეკონომიამ კი 66,5 მილიონი ლარი შეადგინა.

2020 წელს ხაშურს შემოვლითი გზა ექნება, ქუთაისის შემოვლითი გზა კი ოთხზოლიანი გახდება

ირაკლი ქარსელაძემ ისაუბრა პროექტებზე, რომლებიც, მისივე თქმით, 2020 წელს დასრულდება და ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. „გარდამტეხი პროგრესია მიღწეული ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთზე. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, წლის ბოლოს დასრულდება 5,8-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, ხოლო 2020 წლის ივლისში ხაშურს ექნება შემოვლითი 13-კილომეტრიანი ოთხზოლიანი ცენტრ-ბეტონის მაგისტრალური გზა. ასევე, 2020 წელს დასრულდება სამტრედია-გრიგოლეთის მე-2, 18-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, ხოლო მოძრაობა გაიხსნება 14-კილომეტრიან მონაკვეთზე, რომელიც ყველაზე მჭიდროდ დასახლებული არეალის შემოვლის საშუალებას მოგვცემს“.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის განმარტებით, 2020 წელს დასრულდება ქუთაისის შემოვლითი, სამტრედიის 200 მლნ ლარის ღირებულების მაგისტრალური, 41-კილომეტრიანი ახალი ორი ზოლის მშენებლობა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დაფინანსებული 3 212 პროექტი დასრულდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შერჩეული 4 808 პროექტიდან 3 212 უკვე დასრულებულია. პროექტების სავარაუდო ღირებულება 46 მილიონ ლარს შეადგენს. დანარჩენ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამუშაოები გრძელდება და წლის ბოლომდე დასრულდება. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მუნიციპალიტეტებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები ფინანსდება. 10-დან 20 ათას ლარამდე თანხა კი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნაწილდება.

უწყების ცნობით, უკვე დასრულებულ პროექტებს შორისაა სასმელი წყლის რეზერვუარისა და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, სპორტული დარბაზის კეთილმოწყობა, წყაროს მოპირკეთება, საბავშვო ბაღის ეზოს მოწესრიგება და ატრაქციონების დადგმა, ხიდის შეკეთება, გარე განათების მოწყობა, სასაფლაოს ჭიშკრის აღდგენა და წყლის შეყვანა, ბიბლიოთეკისა და მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია, გმირთა მემორიალის მოწესრიგება და კულტურის სახლის შეღებვა, საცალფეხო ხიდის შეკეთება და შიდა გზების მოხრეშვა, სავარჯიშო ადგილის მოწყობა და სხვა.

ატოცის ოკუპაციის გზა-მკვლევი

ატოცში ამჟამად მავთულხლართი, დაახლოებით, 330 მეტრზე გრძელდება და ის იმ ბოძებს მიუყვება, რომლებიც რუსმა, ეგრეთ წოდებულმა, მესაზღვრეებმა 11 თვის წინათ დაამონტაჟეს. სოფლის მიმდებარედ ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლები 19 ოქტომბერს გააქტიურდნენ და რამდენიმე საათში დაასრულეს შეღობვის პროცესი. ამ დროის განმავლობაში ქართულმა პოლიციამ ერთგვარი ბარიერი აღმართა საქშაქეთთან მდებარე პოლიციის პოსტთან, რომელიც ატოცისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს და უკანონო პროცესის ნახვის და გადაღების უფლება ჟურნალისტებს არ მისცა.

ატოცის მოვლენებამდე ერთი დღით ადრე სამოქალაქო მოძრაობა „ძალა ერთობაშიამ“ სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებთან თბილისში შეხვედრა გამართა, სადაც ოკუპაციის პროცესის შესახებ ისაუბრა. შეხვედრაზე წარმოადგინეს რუკები, რომელიც რუსული ძალების გადაადგილების დინამიკას ასახავს ჩორჩანას ტყეში. სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედებები ოკუპაციის შესაჩერებლად არასაკმარისი და არაეფექტურია. „ძალა ერთობაშია“ სამოქალაქო პატრულირებას კონფლიქტის ზონაში ორ წელზე მეტია, ახორციელებს და ეს ცალკეული ადამიანების მიერ შეწირული თანხებით, ასევე „ანტიოკუპაციური ტაქსის“ მუშაობის ხარჯზე ხდება. თუმცა აქტივიზმის გაგრძელებისთვის როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსის თვალსაზრისით, უფრო მეტია საჭირო. შეხვედრაზე „ძალა ერთობაშიამ“ სამოქალაქო სექტორსა და პოლიტიკურ პარტიებს ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის ინიციატივით მიმართა.

შეხვედრაზე საკუთარი თანხმობა საკოორდინაციო საბჭოში მონაწილეობის თაობაზე თითქმის ყველა პარტიამ დაადასტურა, „ქართული ოცნებისა“ და პრო-რუსულად განწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციების გარდა. „ძალა ერთობაშია“ რეკრუტირების უფრო საქმიან ეტაპზე გადართვას მომდევნო დღეებში გეგმავდა, თუმცა სწორედ ამ დროს ატოცში ბორდერიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო, სადაც მათი „განეიტრალება“ ქართველმა სამართალდამცავებმა სცადეს.

სწორედ იმ დღეს, როდესაც ატოცში რუსები მავთულხლართებს აბამდნენ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გორში იმყოფებოდა. ჟურნალისტებს დღის პირველ ნახევარში მან ოკუპაციის შესახებ კომენტარებზე უარი უთხრა. „დამშვიდდით“ — ასე გამოეხმაურა იგი დაჟინებულ კითხვებს.

ბორდერიზაციის ცხელ კვალზე ატოცის მიმართულებით გადაადგილება პუტინთან დაახლოებულმა ქართული წარმოშობის მოსკოველმა ბიზნესმენმა ვლადიმერ ხომერიკმა 21 ოქტომბერს გადაწყვიტა. „მთავარის“ ჟურნალისტთან საუბრისას, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა იმის თაობაზე, რომ საჭიროა რუსეთთან მეგობრობა და რომ საქართველო თუ დაივიწყებს ნატოსა და დასავლეთთან ინტეგრაციას, ყველაფერი კარგად იქნება. „ხალხს უჭირს აქ ცხოვრება და ჩვენ შეგვიძლია მათ დავეხმაროთ, მაგალითად, წყლით უზრუნველყოფის საკითხში,“ ამბობს ხომერიკი. ის რუსული ჭურვებისგან დაზარალებულ მოსახლეობასთან შეხვედრას მიმდინარე წელს პირველად არ აწყობს და ჯიუტად ცდილობს, ომგამოვლილ ადამიანებს რუსეთი მოაწონოს.

აპრილში ხომერიკი გორში, ერთ-ერთი კინოთეატრის დარბაზში შეხვდა მოსახლეობას. მესიჯები იგივე გახლდათ, რაც ამჯერად. მაშინ მისმა პათოსმა და „პუტინის ადვოკატობამ“ საზოგადოება აღაშფოთა და ახალგაზრდებმა სახელდახელოდ შექმნილი პოსტერებით დააფიქსირეს პროტესტი შენობის გარეთ, სადაც პუტინის ფოტოც კი დაწვეს.

ამ დროისთვის მედია ატოცში დაიშვება, თუმცა ჟურნალისტებს გადაადგილება კვლავ შეზღუდული აქვთ ჩორჩანას მიმართულებით. ქართველი სამართალდამცავები ამას უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობით ხსნიან.

ნინო დალაქიშვილი

საქართველოში ძიძების მიმართ რეგულაციები ამოქმედდება

ძიძების მხრიდან ბავშვების სასტიკი ცემის ფაქტები როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრობლემაა. უმძიმესი კადრები სხვადასხვა დროს ფარული კამერითაა გადაღებული და ყველა ვიდეოს შინაარსი მსგავსია: მოძალადე ძიძა და დაუცველი ბავშვი.

გახშირებული ძალადობის შემთხვევები ძიძების აქმიანობის მკაცრად გაკონტროლების მიზეზი გახდა ამ მიზნით მთავრობა ნებაყოფლობით სერტიფიცირებას იწყებს. ახალ კოდექსთან დაკავშირებით გადაცემა „იმედის დილა“ დაინტერესდა და სიუჟეტი მოამზადა.

რამდენიმე ხნის წინ საქართველოში შემზარავი ვიდეო გავრცელდა. ძიძა ბავშვს სახეში ურტყამდა და ჭამას აიძულებდა. ძალადობის შედეგად პატარამ სხეულის დაზიანებები მიიღო. მშობლები სოციალურ ქსელში ძიძის მხრიდან უხეშად მოპყრობის ფაქტებზე ხშირად საუბრობენ, ისინი ამბობენ რომ მხოლოდ სახლში დამონტაჟებული კამერების საშუალებით იგებენ, რომ მათ შვილებს უხეშად ეპყრობიან.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის სოფო კილაძის თქმით, მათი მთავარი ამოსავალი წერტილი ბავშვების კარგად ყოფნაა. ამიტომ ბავშვთა უფლებების კოდექსში რეგულაციების ამოქმედების შესახებ შესაბამისი ჩანაწერი უკვე არსებობს.. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ სერტიფიცირება ძიძის პერსონალური მონაცემების შემოწმებას, ფსიქოლოგიური მდგომარეობის დადგენას, სამედიცინო და პედიატრიულ სწავლებას მოიცავს.

თავად პროცესი მშობლებისთვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მათი თქმით, ძიძას რომელსაც მსგავსი სახის სერტიფიკატი ექნება, ბავშვების აღზრდას უფრო თამამად ანდობენ. „იმედის დილის“ სიუჟეტში გამოკითხულთა ძიძების უმრავლესობა ამ პროექტს მიესალმება, ნაწილი კი კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს.

ფსიქოლოგები მშობელებს ურჩევენ, ბავშვის ძიძა სიფრთხილით შეარჩიონ, რადგან ბავშვობაში მიღებული ტრავმა, შესაძლოა, მოზარდის ფსიქიკაზე მომავალში ცუდად აისახოს. მათი თქმით, სერტიფიცირების პროცესი ძალიან დროული და მნიშვნელოვანია, ეს ბაზარზე კვალიფიციურ კადრებს გააჩენს და ძიძის პროფესიას უფრო პრესტიჟულს გახდის.

სერტიფიცირებასთან დაკავშირებული კრიტერიუმების განსაზღვრისთვის განათლების სამინისტროს ვადა 2020 წლის 1 მარტამდე აქვს. შესაბამისად, მომავალი წლიდან მშობლები თავად გადაწყვეტენ, ბავშვის აღზრდა სერტიფიცირებულ ძიძას მიანდონ თუ არასერტიფიცირებულს.

მინდელის მაღაროში მეშახტეები გაფუჭებული აპარატურით მუშაობდნენ

გაფუჭებული აპარატურა, აფეთქების შემდეგ ჩართული სენსორები, გაჭიანურებული ექსპერტიზა — EMC ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დარღვევები იკვეთება შახტებსა თუ მშენებლობებზე დაღუპულ პირთა საქმეების გამოძიებისას.

30 წლის ვეფხვია ხუჭუა 17 მარტს დაიღუპა. ის ორთაჭალაში გარე ფასადებზე მუშაობდა. დაკიდებული კალათა მე-11 სართულიდან ჩამოწყდა და სამი ადამიანი შეიწირა.

„კომპანიის წარმომადგენლები პასუხისმგებლობას ირიდებენ. მარტო დაკრძალვის ხარჯები მომცეს, 10 ათასი ლარი, ესეც — ჩვენი კეთილი ნება იყოო. გამოძიებას რამდენჯერაც დავუკავშირდი, ექსპერტიზის შედეგებს ელოდებიან“, — ამბობს გარდაცვლილის მეუღლე ნინო მჭედლიძე. გაჭიანურებული ექსპერტიზა სხვა საქმეების მახასიათებელიც არის. ეს აღნიშნა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC), როდესაც გამოძიებათა მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა. პრობლემად დასახელდა ისიც, რომ მაღალი მენეჯერული რგოლის წარმომადგენლებს პასუხისგებაში იშვიათად აძლევენ.

შსს-ს მონაცემებით, 2018 წელს საწარმოებში უბედური შემთხვევების გამო 224 ფაქტზე დაიწყო გამოძიება. სასამართლოებმა მხოლოდ 35 საქმე განიხილეს და აქედან თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 2 პირს შეეფარდა. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, მსგავსი საქმეების 69% საპროცესო შეთანხმებით სრულდება.

2018 წელს ტყიბულში, მინდელის მაღაროში, ორი უბედური შემთხვევა მოხდა. 5 აპრილს აფეთქების შედეგად 6 მეშახტე დაიღუპა, დანარჩენებმა მძიმე დაზიანება მიიღეს. EMC აცხადებს, რომ მოგვიანებით შახტში სამუშაოები ისე განაახლეს, არც შეუსწავლიათ, შესაძლებელი იყო თუ არა იქ მუშაობა. შესაბამისად, ამავე უბანზე 16 ივლისს აფეთქებამ 4 მეშახტის სიკვდილი გამოიწვია.

„მხოლოდ ამის შემდეგ შეაჩერეს სამუშაო პროცესი, — ამბობს EMC-ის იურისტი ქეთი ჩუთლაშვილი, — **მთავარი პრობლემა ის არის, რომ მსგავსი საქმეების გამოძიების მეთოდოლოგია არ არსებობს. სამართალდამცველებს ამ კუთხით გამოცდილებაც არა აქვთ. შემთხვევის ადგილი სრულყოფილად არ თვალიერდება, ტყიბულში ფოტოებიც კი არ გადაუღიათ. გამოძიებამ გვითხრა, შახტში ფოტოს გადაღება აკრძალულიაო, თუმცა მერე ექსპერტთან გავარკვიეთ, რომ მსგავსი აკრძალვა არ არსებობდა“. ტყიბულის შახტასთან დაკავშირებით EMC-ს სხვა მაგალითებიც მოჰყავს. რეგლამენტის თანახმად, ნახშირის მოპოვებისას მეთანისა და ნახშირორჟანგის შემცველობა სპეციალური აპარატით, ინტერფერომეტრით, კონტროლდება. აპარატურა წელიწადში ერთხელ უნდა შემოწმდეს. EMC-მ დაადგინა, რომ მინდელის შახტში ინტერფერომეტრები კომპანიას 4 წლის განმავლობაში არ ჰქონდა შემოწმებული და ისინი სხვადასხვა მონაცემს აჩვენებდა. ამაზე გამოძიებასთან იმ თანამშრომელმა ილაპარაკა, რომელიც აპარატურაზე არის პასუხისმგებელი. მიუხედავად ამისა, კომპანიის მენეჯმენტს ინტერფერომეტრები არ გამოუცვლია.**

გარდა ამისა, უსაფრთხოების მიზნით შახტში დამონტაჟებულია სენსორები, რომლებიც ჰაერის ნაკადებს, მეთანსა და CO-ს დონეს აკონტროლებს. სენსორები მხოლოდ აფეთქების შემდეგ გაწითლდა, მაშინ როცა მათი დანიშნულება პრევენცია იყო და არა უკვე მომხდარი ტრაგედიის შეტყობინება.

შს სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შსს-ში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც გამოძიების მიმართულებით მუშაობს, მხოლოდ 2018 წელს ჩამოყალიბდა. ისინი ახლა სწორედ ამგვარი საქმეების გამოძიების მეთოდოლოგიაზე მუშაობენ.

„ათეულობით საქმეს ვსწავლობთ და ამის საფუძველზე შევიმუშავებთ ინსტრუქციას“, — ამბობს შსს-ს წარმომადგენელი ლევან ვერულაშვილი.

შსს-ს მონაცემებით, ყოველწლიურად მატულობს საწარმოებში დაშავებულთა რაოდენობა:

2016 წელი — 133 უბედური შემთხვევა;
2017 წელი — 163;
2018 წელი — დაიღუპა 59 ადამიანი, დაშავდა — 199;
2019 წლის ივლისის ჩათვლით — დაიღუპა 25, დაშავდა — 71 პირი.

დამეთანხმებით, მართლაც საგანგაშო სტატისტიკაა!

თეა თოფურია

შუშის სასახლის მეოცნებე

ოცნებაა გარეშე არც ერთი დიდი საქმე, დიდი აღმოჩენა, კულტურული თუ სახელმწიფოებრივი მიღწევა არ განხორციელებულა. საქართველოშიც ოცნებობდნენ პოეტები, მეფეები, სახელმწიფო მოღვაწეები და მთავარი მათი ოცნება საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო. რამდენიმე წლის წინ ჩვენი ქვეყნის დიდმა პატრიოტმა და ქველმოქმედმა, მილიარდერმა, ბიძინა ივანიშვილმა, იოცნება და დაისახა მიზნად კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ ღარიბი ქვეყანა საქართველო ექცია ყველაზე წარმატებულ, ევროპული ტიპის განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნად, "დემოკრატიის ოაზისად", რისთვისაც არ დაინანა საკუთარი სახსრებიც და გეზი აიღო ევროპისკენ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ, რამდენიმე წელიწადში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმების საშუალებით, აგრეთვე მისი პირადი ინიციატივით და მეგობარი დასავლეთის ქვეყნების დახმარებით საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს სწორედ დემოკრატიული განვითარების გზაზე: ჩვენთან მასობრივი საინფორმაციო საშუალებები თავისუფალია ყოველგვარი ცენზურისგან; არ იზღუდება სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება; ძალოვანი სტრუქტურები დეპოლიტიზირებულია; სასამართლო სისტემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა; საარჩევნო სისტემა ევროპულ სტანდარტს მიუახლოვდა; სამოქალაქო საზოგადოებები თავისუფლად ფუნქიონირებენ, დიდი პროგრესი არის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში; შეიცვალა ქვეყნის კონსტიტუცია, და ქვეყანა გახდა საპარლამენტო რესპუბლიკა. გატარდა სხვა მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმებიც. აშკარა მიღწევებია საგარეო პოლიტიკაში; ქვეყანა დაუახლოვდა ევრო-ამერიკულ სხვადასხვა სტრუქტურებს; პრეტენზია აქვს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე; გაფორმდა ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება; საქართველომ მიიღო უვიზო რეჟიმი შენგენის ზონის ქვეყნებში; ბევრგან საქართველო აღიარებულია უსაფრთხო ქვეყნად და ა.შ.

შთამბეჭდავი პროგრესის მაჩვენებელია ბოლო დროს ქვეყანაში მილიონობით უცხოელი ტურისტის და ვიზიტორის შემოსვლა, რაც მოსახლეობის რაოდენობაზე გადათვლით ბევრად მეტია ზოგიერთ ტრადიციულ „ტურისტულ" ქვეყნებთან შედარებით. მიუხედავად ამ მიღწევებისა, ქვეყნისათვის ჯერ კიდევ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება სიღარიბე, უმუშევრობა და, რაც მთავარია, ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა.

დასანანია, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყანამ თითქოს ცოტა ამოისუნთქა, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო! როცა ერთმა პარლამენტის რადიკალურად განწყობილმა ოპოზიციონერმა ლიდერმა, თავის თანამზრახველებთან ერთად, არაფრად ჩააგდეს ქვეყნის დემოკრატიული იმიჯი, ქვეყნის საპარლამენტო რესპუბლიკის სტატუსი და გადაწყვიტეს პარლამენტში ძალისმიერი შეჭრა.

შეჭრის მიზანი ცხადზე უცხადესი იყო — ხელისუფლების დამხობა!

როგორც ცნობილია, ამას წინ უძღოდა ინციდენტი, როდესაც რუსეთის დუმის დელეგატმა, რომელიც სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა სხვა 20 ქვეყნის დელეგატთან ერთად პარლამენტში, საპროტოკოლო სამსახურის უპასუხისგებლო მოქმედების შედეგად დაიკავა ქვეყნის პარლამენტის სპიკერის სავარძელი. ამ ფაქტს მოჰყვა საზოგადოების მკვეთრი უარყოფითი რეაქცია, რომელიც შემდგომ გადაიზარდა საპროტესტო ხალხმრავალ მიტინგში პარლამენტის შენობის წინ. რადიკალურად განწყობილმა ზოგიერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა ისარგებლა ამით და მოუწოდა ეგზალტირებულ მომიტინგეებს, ძალისმიერი საშუალებებით პარლამენტში შეჭრისაკენ. ეს მცდელობა გარკვეულ ეტაპზე აღკვეთილი იყო სამართალდამცავების მიერ, რითაც შეიძლება ითქვას, თავიდან იქნა აცილებული ქვეყანაში მოსალოდნელი სერიოზული არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირება.

უკანონო ძალადობრივი მოქმედებების აღკვეთის დროს სამართალდამცველების მიერ გამოყენებული იქნა ლეგიტიმური სპეცსაშუალებები (ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები), რის შედეგადაც სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო თითქმის 240 ადამიანმა, მათ შორის როგორც მომიტინგეებმა, ასევე სამართალდამცველებმა. აქვე უნდა ითქვას, რომ დემონსტრანტების დიდი მასის დაშლა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს, ხოლო არალეტალური სპეცსაშუალებების გამოყენება ყოველთვის შეიცავს ადამიანების სერიოზული დაზიანების რისკს, რაც მოხდა ამ მიტინგის დაშლის დროს.

გარდა ამ მძიმე შედეგისა, სახელმწიფოს მიადგა მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური ზიანი, მარტო ტურისტულმა ბიზნესმა დაკარგა ასეული მილიონობით დოლარი. ამ შემთხვევის განსაკუთრებული ტრაგიზმი მდგომარეს იმაში, რომ ასეთი უკანონო, უპასუხისმგებლო ქმედების მონაწილენი არიან როგორც ამჟამინდელი, ისე ყოფილი კანონშემოქმედნი — პარლამენტარები, მაშინ როდესაც, მათ მოვალეობას წარმოადგენს სწორედ კანონშემოქმედება და ქვეყანაში არსებული კანონიერების დაცვა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევამ ნათლად გვაჩვენა, ჯერ კიდევ, რამდენად მყიფე და სუსტია ქართული დემოკრატია, რამდენად არამყარია ადამიანებში კანონის უზენაესობის განცდა, რის მაგალითად გამოდგება, თუნდაც, ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერის განცხადება, რომ „არჩევნების გარეშეც ხელისუფლების შეცვლა ყველა ხერხით მისაღებია".

ფაქტია, რომ ქვეყანა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა, სადაც უნდა იყოს მაღალი სამართლებრივი კულტურა და იმართებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე, ხოლო, სამართლებლივი სახელმწიფოს პრინციპი დემოკრატიული სახელწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კანონის უზენაესობის პრიციპის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: **„კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკე, ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება"**.

სწორედ კანონის არცოდნით, ან მისი უგულებელყოფით, შეიძლება აიხსნას ზოგიერთი ოპოზიციის ლიდერის მოწოდება ქვეყნის პარლამენტის შტურმით აღებისკენ. რამდენადაც მათ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ წარმოიდგინეს, ვერ დაუშვეს, რომ მშვიდობიანი აქციისგან განსხვავებით, პარლამენტის ძალისმიერი იერიშის დროს, პოლიცია გამოიყენებდა სპეცსაშუალებებს, რისი კანონიერი უფლება მათ ამ შემთხვევაში ჰქონდა. ასეთი უკანონო მოქმედებების გამართლება სხვადასხვა მიზეზით არ არის სწორი, ხოლო მიზეზები ქვეყანაში არასდროს არ დაილევა: ზოგს მთავრობა არ მოეწონება, ზოგი უადგილო ადგილას სავარძელში ჩაჯდება, ზოგი ტელევიზიიდან უცენზურო სიტყვების ნიაღვარს გადმოაფრქვევს...

დღეს ქვეყნის მმართველ ძალას რთული მისია აკისრია: მან პრეტენზია გამოაცხადა მაღალი დონის დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე საქართველოში, კავკასიის იმ ღარიბ რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ დომინირებს ეროვნული და ეთნიკური ტრადიციები, რაც ზოგჯერ შეუთავსებელია ევროპული ლიბერალური ტიპის დემოკრატიულ ცნებებთან. განსაკუთრებით ეს ეხება კანონის უზენაესობის პატივიცემასა და ქვეყანაში კანონმორჩილი მოქალაქეების დიდ დეფიციტს, რომლის გარეშე ძალიან ძნელია შექმნა ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო.

სხვანაირად, როგორ შეიძლება აიხსნას, რომ რეგიონში სადაც საქართველოა, მის გარშემო არსებულ თითქმის ყველა ქვეყანაში (აზერბაიჯანი, ირანი, თურქეთი, რუსეთი, და ა.შ.), ძირითადად მკაცრი რეჟიმის საპრეზიდენტო მმართველობებია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ იმათმა მთავრობებმა არ იციან, რა არის დემოკრატია და არ იციან დემოკრატის ფასი, ძალიან ცდებიან. ვინმემ არ იფიქროს, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ასეთი ტიპის არადემოკრატიულ მმართველობას, პირიქით ქვეყანაში დემოკრატიული მიღწევები საამაყო და ყოველმხრივ მისასალმებელია, თუმცა, მეორე მხრივ, დემოკრატია, რომელიც კანონით არ არის განმტკიცებული, ქვეყანაში ქმნის დაუსჯელობის სინდრომს, რაც ასე მომრავლებულ „ვაი პატრიოტებს" და ყველა რჯულის ავანტიურისტებს უბიძგებს დაუმორჩილებლობისა და სხვა სერიოზული დანაშაულებისკენ, რომლის მაგალითები, საუბედუროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ გაგვაჩნია.

ბოლო წლებში ქვეყანაში არსებული შედარებით მშვიდი და სტაბილური მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია არა მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობით, არამედ, ერთი ადამიანის ფაქტორითაც, მისი დიდი ავტორიტეტით, რაც გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის დამოუკიდებელი სამი შტოს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო) ჩამოყალიბებას, გარკვეული ტრადიციები და დიდი დრო სჭირდება.

ამჟამად ქვეყნის რეალური პოლიტიკა იცვლება, ქვეყანა გადადის საპარლამენტო არჩევნების პროპორციულ სისტემაზე, რაც ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის მაღალი ნიშნულია. ამავე დროს ეს ის შემთხვევაა, როდესაც მომავალმა მთავრობამ ქვეყანაში უნდა უზრუნველყოს გამორჩეული სიმშვიდე და სტაბილურობა, უნდა გააძლიერიოს ყველა დონეზე სახელმწიფოს მართვის ბერკეტები, ხელი შეუწყოს ქვეყანაში კანონის უზენაესობის პატივისცემის დამკვიდრებას, კანონმორჩილი ახალგაზრდობის აღზრდას. ყველა სხვა შემთხვევაში, მსგავსი დემოკრატიული რეფორმები შეიძლება სახიფათო იყოს ქვეყნის კონსტიტუციონალური წყობისთვის და დემოკრატიაზე მეოცნებე მთავრობამ შეიძლება, მიიღოს ანტიდემოკრატიული მმართველობა, რაც არაერთხელ მომხდარა ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც...

ბონდო ქოგულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ავჭალაში „ორთაჭალჰესის" მსგავსი ელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება

თბილისში, ავჭალის დასახლებაში, მდინარე მტკვარზე, „ორთაჭალჰესის" მსგავსი ელექტროსადგურის — „დიღომიჰესის" მშენებლობა იგეგმება.

საუბარია „თბილისი მოლის" უკან, სავაჭრო ცენტრიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში მდებარე ტერიტორიაზე.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით, ეს იქნება 11.26 მეგავატი დადგმული სიმძლავრის, კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგური. პროექტის განხორციელებას შპს „ჯი ემ ჯი" გეგმავს, 8 ნოემბერს კი, დაგეგმილია ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვა.

როგორც შპს „გამა კონსალტინგის" მიერ მომზადებულ მასალებშია აღნიშნული, პროექტით გათვალისწინებული არ არის სადერივაციო-სადაწნეო სისტემის (გვირაბი, მილსადენი) და დამოუკიდებელი სააგრეგატო შენობის მოწყობა.

„ჰესი წარმოდგენილი იქნება მდინარე მტკვრის გადამღობი დამბით, რომლის ერთ მხარეს მოეწყობა უქმი წყალსაგდები, ხოლო მეორე მხარეს — სააგრეგატო ნაწილი, სადაც დამონტაჟებული იქნება ჰიდროტურბინები და სხვა დამხმარე ჰიდრომექანიკური თუ ელექტრომოწყობილობა. საპროექტო „დიღომი ჰესი" კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული „ორთაჭალჰესის" მსგავს საინჟინრო ნაგებობას წარმოადგენს", — აღნიშნულია დოკუმენტში.

რას ითხოვს კრემლი თბილისისგან?!

„აქცენტი“ გთავაზობთ ინტერვიუს CSIS-ის მკვლევართან, კავკასიოლოგ დენის სოკოლოვთან

— ღონისძიებაზე, რომელზეც თქვენ ქართველ საზოგადოებას ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ უამბობდით, ბრძანეთ, რომ გამოცოცხლება შეინიშნება: თუ აქამდე პროტესტებს ლოკალური ხასიათი ჰქონდათ, ახლა ამან საზოგადოებრივი სახე მიიღო. როგორ უყურებთ ამ პროტესტის პერსპექტივას და რამდენად ელით, რომ მან ეთნიკური სახე მიიღოს?

— მართლაც, თუ ადრე პროტესტები ლოკალური ხასიათისა იყო, მაგალითად, სოფელში, ან მაქსიმუმ რაიონში და ტრიალებდა მიწის, ეკოლოგიის, წყლის და მსგავსი კონკრეტული საკითხების ირგვლივ, ან რომელიღაც კონკრეტული რელიგიური თემი სწევდა ამა თუ იმ პრობლემას, ახლა უკვე საუბარია სამოქალაქო პროტესტზე. სწორედ ამას ვადევნებთ თვალს, მაგალითად, ინგუშეთში, ყალმუხეთში, ჩრდილოეთ ოსეთში. ეს არის სამოქალაქო პროტესტი, რომელიც არა რაღაც კორპორატიული სტრუქტურების მიერ იმართება, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ ბოლო წლებში წარმოქმნილი სამოქალაქო თემების, სამოქალაქო აქტივისტების მიერ, მათ შორის რესპუბლიკებიდან მოსკოვში წასული მოქალაქეებით, რომლებიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდნენ სამოქალაქო აქტივისტებად და დაბრუნდნენ თავიანთ რესპუბლიკებშ ი.

მიზეზები, რომლებიც ამ ლიდერებს მსგავსი აქტივობისკენ უბიძგებთ, განსხვავებულია. მათ შორის ეს შეიძლება, იყოს, ერთი მხრივ, გარკვეული სოციალური ლიფტების არარსებობა მათთვის (ბევრ მათგანს პოლიტიკაში უნდოდა მოსვლა, მაგრამ არ უშვებენ, ბიზნესის წარმოება შეუძლებელი ხდება და ისინი რაღაც გამოსავალს ეძებენ). ასეთ ვითარებაში ნებისმიერი პროვოკაცია, მაგალითად, ის, რაც ვნახეთ კადიროვთან შეთანხმების (ინგუშეთის ხელისუფლებამ ჩეჩნეთს ტერიტორიები დაუთმო, რასაც ინგუშეთში მწვავე პროტესტი მოჰყვა) კუთხით, მუშაობს. სხვებთან შედარებით ინგუშ სამოქალაქო აქტივისტებს, რომლებიც საერთოდ მოწყვეტილნი იყვნენ ეროვნულ თემებს და სხვა სიბრტყეში მოღვაწეობდნენ, ყველაზე უკეთ გამოუვიდათ და მოახერხეს, არა მხოლოდ ჩაებათ მოძრაობაში იქაური საზოგადოება, მათ შორის რელიგიური თემები, არამედ ფაქტობრივად, პროტესტის გადაფორმატება მოახდინეს და ადგილობრივი კორპორატიული პროტესტი სამოქალაქო პროტესტად აქციეს.

— ჩვენ ვხედავთ, როგორ უპირისპირდება ამ პროტესტს ხელისუფლება რეპრესიების გზით. ამ პირობებში პროტესტის პერსპექტივას როგორ ხედავთ?

— კი, ამ მხრივ სერიოზული პრობლემა გვაქვს. რუსეთი რომ იყოს ეროვნული სახელმწიფო საჯარო პოლიტიკით, მაშინ ეს ეროვნული რესპუბლიკების შიდა ფედერატიული სუვერენიტეტის ფორმირებას მოახდენდა და ეს იქნებოდა სრულიად გასაგები პროცესი, მაგრამ რუსეთი ასეთი სახელმწიფო არ არის. ამ პროტესტების ლიდერებმა არ იციან სახელმწიფო დონეზე რა გასაქანი მისცენ პროტესტს. თავად სახელმწიფოსაც არ ესმის, რას აკეთებს: 400 კაცს დააკავებენ, 30-ს ჩასვამენ, დანარჩენს უშვებენ. არსებული ხელისუფლების პირობებში მსგავს პროტესტებს პერსპექტივა ჯერჯერობით არ აქვს, თუმცა არსებობს ორი გამოსავალი. პირველი, რომელიც მაინცდამაინც ლამაზად არ ჩანს, ტრადიციულია: მხედველობაში მაქვს პოლიტიკური კონფლიქტები მოსკოვში, დაძაბულობის ზრდა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ამ ჯგუფებს შეუძლიათ, რესპუბლიკების ეროვნული პროექტები თავიანთ ინტერესებში გამოიყენონ. ამ გზით რესპუბლიკებში ნაციონალური პროექტები ფედერალურ დონეზე მიმდინარე პროცესებში ხდება ჩართული. ჯამში, შეიძლება, ამ ფონზე გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა ადგილებზე — რესპუბლიკებში მეტი სუვერენიტეტი მოიპოვონ. მეორე ვარიანტი, რომელიც ასევე რეალისტურად მეჩვენება, ეს არის ეროვნული რესპუბლიკების და ერების მიერ გლობალურ დონეზე თავიანთი ადგილის ძებნა. დრო გვიჩვენებს...

— თქვენ საჭიროდ მიიჩნიეთ, რომ ამ პროცესების შესახებ ქართველი საზოგადოებისთვის მიგეწოდებინათ ინფორმაცია, მაგრამ მსგავს ინტერესს თავად საქართველოს მხრიდან ხედავთ? ზოგადად, როგორ აფასებთ ოფიციალური თბილისის კავკასიურ პოლიტიკას?

— როდესაც სააკაშვილმა თავის დროზე (2009 წელს) გააუქმა ვიზები, ჩრდილოეთ კავკასიელებს მიეცათ შესაძლებლობა, ჩამოსულიყვნენ საქართველოში და ენახათ, რა ხდებოდა აქ. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს იყო წარმატებული ქართული ეროვნული პროექტი ჩრდილოეთ კავკასიაში. სხვათა შორის, სწორედ მსგავსი რაღაცები არის ჩრდილოთ კავკასიაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის მთავარი ფაქტორი. კი, მართალია, ეს მრავალი წლის წინ მოხდა, მაგრამ გარკვეულწილად დღესაც მუშაობს: ხალხი ჩამოდის. ახლა ბევრს საუბრობენ, რომ საქართველოში რაღაც-რაღაცები უკან წავიდა, მაგრამ სხვაობა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს შორის აშკარად თვალში საცემია და ვიზიტორები ამას ხედავენ, კონტაქტები მაინც გრძელდება. ამ კუთხით ძალიან კარგი იქნებოდა ტურისტულის გარდა სავაჭრო კონტაქტების განვითარებაც, მაგრამ ამ ყველაფერს ხელს უშლის ის უამრავი „მაგრამ“ და ყველა რისკი, რომელიც ყველამ კარგად ვიცით. მიუხედავად ამისა, ადრე თუ გვიან ამ მიმართულებით რაღაც განვითარება გვექნება, ვინაიდან საქართველო ესაზღვრება ჩრდილოეთ კავკასიას. რა თქმა უნდა, ყველა ის რისკი, რომელიც იქ არსებობს, ძალაუნებურად საქართველოზეც ვრცელდება. აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ იმ რისკს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ბატონობას ეხება, ეს არის იგივე კონფლიქტური სიტუაციების რისკი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში რეალობაა და ამ მხრივ საქართველოს მართებს ყურადღება. ამ კონტექსტში ყურადღებით უნდა იყოთ და გქონდეთ კარგად ფორმირებული პოლიტიკა რესპუბლიკებში სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან, რათა უკეთ გესმოდეთ და გქონდეთ ინფორმაცია, რა ხდება იქ; უნდა გყავდეთ საკუთარი გავლენის აგენტები, არა რაღაც შეთქმულებისთვის, არამედ ნორმალური ცხოვრებისა და კომუნიკაციების ორგანიზებისთვის. რა თქმა უნდა, ამისთვის აქტიურად უნდა იყენებდეთ ეროვნულ თემებს, იგივე ქისტებს, ავარებს, აზერბაიჯანელებს — საქართველოში მცხოვრებ თემებს. ამდენად, თუ გსურთ, გესმოდეთ, რა ხდება საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიაში და ზოგადად, რუსეთში, ამ ყველაფერს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

— მოგეხსენებათ, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ პირველად გადავეცით რუსეთს ეთნიკური ჩეჩენი რამზან ახიადოვი. ეს პოლიტიკის ნაწილად იქნა აღქმული? როგორ აისახება ეს ჩვენს ურთიერთობებზე?

— გააჩნია, ვისზე ვსაუბრობთ. მაგალითად, კადიროვი ამას ცალსახად მიესალმება და თუ საქართველოს მიზანია, კადიროვთან ჰქონდეს კარგი ურთიერთობა, სწორი ნაბიჯი გადადგა. ხოლო თუ საქართველოს უნდა, რომ კარგი რეპუტაცია ჰქონდეს თავად ჩრდილოეთ კავკასიელთა უმრავლესობაში, ეს სწორი ნაბიჯი არ უნდა იყოს, აშკარად არ შეუწყობს ამას ხელს. ამ ნაბიჯს იგივე ეფექტი ექნება რესპუბლიკებიდან წასულთა თვალშიც. ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს, რომელი ქვეყანა როგორ დამოკიდებულებას იჩენს მათი თანატომელების მიმართ. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლოდროინდელი ტენდენციების ფონზე, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან წასულები ნელ-ნელა კარგავენ იმ ქვეყნების დაცვას, სადაც დაბინავდნენ. რუსეთისა და კადიროვის ხელი ბოლო პერიოდში ყველგან სწვდებათ. ამ თვალსაზრისით ახიადოვის გადაცემა სარეპუტაციო დანაკარგად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ვინაიდან ამას ჯერჯერობით სისტემური ხასიათი არ აქვს, ვერ ვიტყვით, რომ ეს გლობალური დანაკარგია. სადღეისოდ ისეთი ვითარებაა, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყნების მთლიანად სამართალდამცავი უწყებების სარეპუტაციო დანაკარგია მაღალი, რადგან რუსეთი ამ ქვეყნებში იმას აკეთებს, რაც მოესურვება. ბევრი ფაქტორის გამო, რუსეთი დღეს ძალიან წარმატებულად მუშაობს თავისივე მოქალაქეების წინააღმდეგ უცხოეთში.

— გასაგებია, რომ საქართველოს ჩრდილოეთის მხრიდან მთლიან პერიმეტრზე ესაზღვრება ჩრდილოეთ კავკასია და საზოგადოებრივ დონეზე ესმით, რომ იქ წარმოქმნილი პრობლემები, ასევე შეეხება საქართველოსაც, ამიტომ, ყოველთვის მაღალია ინტერესი იქ მიმდინარე მოვლენების მიმართ. ასევე ესმით, რომ თავად რუსეთს შესაძლოა, პრობლემები სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან შეექმნას. როგორ ფიქრობთ, ოფიციალური თბილისი აცნობიერებს ამას, მსგავს შთაბეჭდილებას გიტოვებთ წარმოებული პოლიტიკა?

— აქ მთავარი კითხვაა, რისი გაკეთება შეუძლია თბილისს. ხოლო რამე რომ გააკეთო, ამისთვის კარგად ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული პოლიტიკა გჭირდება და, უპირველესად, კარგი ექსპერტიზა. ვფიქრობ, ბოლომდე ვერავინ აცნობიერებს, იქ რა ხდება. შესაბამისად, დიდად ვერანაირ ექსპერტიზას ვერ ვხედავ. საქართველოში სპეციალისტები ჰყავთ, რომლებიც მაგალითად ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკაში, ელიტებში ერკვევიან? ვერასოდეს გაიგებ, როგორ არის მოწყობილი ჩრდილოეთ კავკასია, თუ არ იცი, როგორ არის სადღეისოდ მოწყობილი მოსკოვი. თუ კი შენ ეს ყველაფერი არ იცი, როგორ უნდა მოახდინო პოლიტიკის ფორმირება; განსაზღვრო, რა შეიძლება, გელოდეს იქიდან? მე კი არ ვაკრიტიკებ საქართველოს ხელისუფლებას, უბრალოდ, ეს მარტივი საქმე არაა, ამას საკმაოდ დიდი რესურსი და მონდომებული მუშაობა სჭირდება. მით უფრო, რომ იქით მხრიდანაც ვერ ვხედავ დიდად ექსპერტიზას. მოსკოვშიც ნაკლებად მინახავს საჯარო ექსპერტები, რომლებიც საქართველოს საკითხებში კარგად ერკვევიან.

— ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ?

— დიახ, ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ ეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ეხება. ზედაპირული წარმოდგენა გვაქვს, რა ხდება ჩვენთვის საინტერესო სახელმწიფოებში. ჩვენ მიერ მოგონილი კონსტრუქციები გვაქვს და ვცდილობთ, რეალობა მას მივუსადაგოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კონსტრუქციები დიდი ხანია, აქტუალური არაა — მსოფლიო გაცილებით სწრაფად იცვლება. შესაძლოა, ძველი კონსტრუქციები კარგად ვიცით, მაგრამ თაობები იცვლება, ახალგაზრდები მოდიან პოლიტიკაში და არავინ იცის, რა სურთ მათ, რას მოიმოქმედებენ. ამ ვითარებაში მოსკოვი მარტივად იქცევა — ხელკეტებით რეაგირებს, რადგან არ ესმის, რა ხალხია ეს ახალი თაობა, რას ითხოვს, რას ელის მისგან. მაგრამ დროს ხელკეტით ხომ ვერ გააჩერებ? ასე პრობლემები არ და ვერ მოიხსნება. ის მსოფლიო, რომლისაც მეტ-ნაკლებად გვესმოდა, დიდი ხანია, მკვდარია.

— დაბოლოს, მოგეხსენებათ, რუსეთ-საქართველოს შორის ფრენები ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებით შეჩერდა. აღდგენის სანაცვლოდ კი რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან ისმის რაღაც მოთხოვნები კონკრეტიკის გარეშე. ცნობილია მხოლოდ ერთი მოთხოვნა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მოიხადოს ბოდიში. ამიტომ ვარაუდი გვიწევს და რას შეიძლება ითხოვდეს რუსეთი?

— ვფიქრობ, აქ საუბარია ენერგეტიკაზე, პორტებზე, სარკინიგზო მიმოსვლაზე — ანუ ყველაფერზე, რაც რუსული გავლენის შენარჩუნებას ეხება. პრაგმატულ მოთხოვნებზე იქნება საუბარი. არავისთვის არის საიდუმლო, რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცის კონტროლს ცდილობს და არა იმდენად პოლიტიკურ, რამდენადაც ეკონომიკურ დონეზე. აქ, უპირველესად, იგულისხმება ბაზრები, სატრანსპორტო დერეფნები. ვფიქრობ, მისი ძირითადი მოთხოვნები შესაბამის პროექტებთან დაკავშირებით იქნება გამოხატული. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ბოდიშს, რა თქმა უნდა, რუსეთს ახასიათებს, გაჩვენოს, „მე დიდი ვარ, შენ პატარა და რასაც მინდა, გავაკეთებ“, მაგრამ ვიმეორებ, მოთხოვნები ძირითადი რესურსების კონტროლს შეეხება...

მტერი „სექსუალური დესანტის“ ნიღაბქვეშ...

ზურაბ თორიას იმ პერიოდში მოუწია სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც ქართველი კლასიკოსები თავიანთი შემოქმედებით არა მარტო ყოფილ საბჭოეთს, არამედ მსოფლიოს მკაცრ, მომთხოვნ და გემოვნებიან მკითხველ-კრიტიკოსებსაც აოცებდნენ. მიუხედავად ამისა, მან ქართულ მწერლობაში თავისი ნიშაც გამოძებნა და ორიგინალური ფილოსოფიურ-ისტორიული მიმდინარეობის მრავალი მოთხრობით გაგვაკვირვა. ამის დასტურია მისი შესანიშნავი რომანი „კედელი“, რომელიც ორჯერ — 1988 და 2012 წლებში გამოიცა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რომანს მეოთხედი საუკუნის შემდეგაც, როცა თაობების ცვალებადობასთან ერთად მკითხველთა გემოვნება და თვალთახედვაც იცვლება, აქტუალობა არ დაუკარგავს. ცალკე აღსანიშნავია მწერლის მთარგმნელობითი ამპლუა, მის მიერ რუსულიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის წიგნის **„ევროპის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“** თარგმანი, რომელიც 2005 და 2011 წლებში ორჯერ გამოიცა, ხოლო 2013 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას წიგნი **„ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“** იხილა მკითხველმა, რომელიც ასევე რუსული ენიდანაა თარგმნილი.

სულ ახლახან გამომცემლობა „მერიდიანმა“ ქართველ მკითხველს წარუდგინა ზურაბ თორიას მოთხრობების კრებული „არა შურისგებისთვის ჩემდა“, რომელიც აფხაზეთისადმია მიძღვნილი და სხვადასხვა წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა.



ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას მრავალი ნაწარმოები, ესსე და ისტორიული კვლევა მიუძღვნეს ქართველმა, ასევე აფხაზმა მწერლებმა, მეცნიერებმა და ისტორიკოსებმა. ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, მიკერძოებულიც იყო ხან ერთი და ხან მეორე მხარის სასარგებლოდ (მხედველობაში მაქვს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდგომი პერიოდი). პრობლემების, ტრადიციების, ორი ძირძველი მონათესავე ერის ურთიერთობის, ომის შემდგომი პერიოდიდან ერთმანეთთან დაახლოების, ჩატეხილი ხიდის აღდგენისა და გარეშე ძალთაგან ხელოვნურად აგებული ბარიერის გადასალახი გზების ძიების ისეთი მეთოდები, როგორც ზურაბ თორიას მოთხრობებშია, იშვიათად შემხვედრია. ყოველივე კი ქართველთა და აფხაზთა სულსა და ტრადიციების თანხვედრაში უნდა ვეძიოთ.

მწერალი ძირძველი სამურზაყანოელია, მისი წინაპრების ბევრი წარმომადგენელი თავს ძირძველ კოლხად თვლის, ბევრიც აფხაზად და აფხაზურ ტრადიციებსაა შესისხლხორცებული. ამ ორი ერის ისტორიულ წესზე გაზრდილ კაცს, შესაძლოა ხელი ოდნავ მაინც წასცდენოდა მიკერძოებაში, თუნდაც ერთ-ერთ მოთხრობაში, მაგრამ ავტორი თავის მრწამსს არ ღალატობს და ყველაფერს თავის სახელს პირუთვნელად არქმევს, რადგან ეს მოუშუშებელი ტრაგედია, რომელსაც ძმათამკვლელი ომი ჰქვია, მისი პირადი სატკივარია. ამიტომაცაა ყველა ეს პატარა მოთხრობები უდიდესი სიყვარულით, პატივისცემით, მიუკერძოებლობით დაწერილი. ისინი ავტობიოგრაფიულია, მაგრამ სრულიადაც არ ტოვებს ზერელე, დღიურების სახით, თუ მოგონებების სტილით დაწერილის შთაბეჭდილებას. ავტობიოგრაფიულობა, უფრო მეტად ამტკიცებს იმ ფაქტებს, რაც ათწლეულების მანძილზე ამ კუთხეში ხდებოდა, სად ჩაიყარა პირველი თესლი სიძულვილისა და ამ „ნორჩ ყლორტს“ ვინ უვლიდა თავგამოდებით, რათა ის სიძულვილისა და ძმათა შორის დაპირისპირების ნაყოფმსხმოიარე ხედ გაზრდილიყო.

მოუშუშებელია ომისგან მიყენებული ტკივილები, მოდის ახალი თაობა, ომის შემდგომი თაობა, დევნილობაში დაბადებული თაობა, რომლებსაც მხოლოდ ფილმებიდან და უფროსი თაობის მონაყოლისგან შეიძლება დაამახსოვრდეს თავისი მშობლიური კუთხე. სწორედ მათთვისაა განკუთვნილი ეს მოთხრობებიც, სწორედ მათთვის, რათა ნათლად დაინახონ, ვინ აღვივებდა შურს, ან როგორი სიყვარულით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები ერთმანეთის გვერდიგვერდ, რა ტრადიციებზე ვიყავით აღზრდილნი და რატომ არ გამოჩნდა თუნდაც ერთი ადამიანი ქართველთა და აფხაზთა მხრიდან, რომელიც ამ უბედურებას თავიდან აგვაშორებდა.

ქართულ-აფხაზური მორდუობა, ძიძიშვილობა, მეზობლობა და გვერდში დგომა საქვეყნოდ იყო აღიარებული. ამის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია პირველივე მოთხრობა კრებულიდან — **„ჩემი აფხაზი ბაბუები“, — „არ მინდა, ვინმე შეცდომაში შევიყვანო და იმთავითვე უნდა განვმარტო: ის ორი ბაბუა დედაჩემის ბაბუის დიდი ოჯახის განაყოფები იყვნენ. ჩემი ბაბუა და მისი წინაპრები ოდიშელები გახლდნენ... ისინი თავიანთი ქართველი ნათესავების გარემოცვაში განისვენებენ,**

ხოლო ჩემი სოხუმელი ბაბუები, ანუ ოდიშელთა განაყოფები, აფხაზობდნენ და ძირძველ კინდღელებად, საკმაოდ სახელოვან და შეძლებულ აფხაზ ვაჟკაცთა შთამომავლებად იყვნენ ცნობილი“, — წერს ავტორი და ისეთი ოსტატობით გვიხატავს სტუდენტობის იმ წლებს, რომელიც ორ დაქვრივებულ, ოთხმოც წელს გადაცილებულ ბაბუებთან ერთჭერქვეშ გაატარა, რომ თავად ხდები იმ ისტორიების თანამონაწილე, რომელიც 60-იანი წლების სოხუმში ხდებოდა — ამ ტრადიციული ოჯახის შვილების დამოკიდებულება მეზობლების, მეგობრების მიმართ, თავად ქართველი შვილიშვილის აღზრდა-განათლების საქმეში გაწეული წვლილი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაინც რომ ვერ შეასწავლეს აფხაზური ენა, პოლიტიკური ხედვები, ტრადიციების დაცვა. თუნდაც ის რად ღირს, როგორ ემზადება ახლად გაცნობილი ქალბატონის შესახვედრად ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი რვაათეულს მიკაკუნებული უმცროსი ბაბუა ანდრო და შვილიშვილსაც აიძულებს ჩოხა-ახალუხის შეკერვას, რაც მისთვის პიროვნული თავისუფლების გამოხატულებაა. ანდრო ბაბუასთვის ტრადიციული სამოსი წინაპართა ხსოვნის, სამშობლოს სიყვარულისა და თავისუფლების სიმბოლოა.

* * *

მესამე ძალის — რუსეთის ფაქტორი, რომელმაც ამ შუღლის ჩამოგდება შეძლო, ყოველგვარი ქარაგმების, მინიშნებებისა და მიმალვის გარეშეა წარმოჩენილი, რაც თითქმის ყველა მოთხრობაში კარგად ჩანს. **„საბჭოთა რესპუბლიკების“ სახელით შენიღბულმა რუსულმა პროპაგანდამ დიდად შეუწყო ხელი ქართველების მიმართ აფხაზთა გაუცხოებას. რუსეთისგან წაქეზებული აფხაზები მონოეთნიკური რეგიონის ჩამოყალიბებისკენ მიისწრაფოდნენ და ვერ აცნობიერებდნენ, რომ უკიდეგანო ოკეანეში ჩაკარგვის საშიშროებისთვის თავს სწირავდნენ“.** — წერს ბატონი ზურაბი და შედეგიც სახეზეა, ომის დამთავრებიდან 30 წელიწადში აფხაზები თავიანთ სამშობლოში უმცირესობად იქცნენ და ამის სათავე კი წარსულიდან მოდის.

როგორც მოთხრობის ერთ-ერთი გმირი წუხს — ჩემმა შვილიშვილებმა აფხაზური არ იციან, მართალია, ოთხწლედი დაამთავრეს და სკოლას აფხაზური ჰქვია, მაგრამ ყველაფერს რუსულად ასწავლიანო. ანდაც შესანიშნავი მოთხრობის **„სექსუალური დესანტის“** ერთ-ერთი პერსონაჟი, რუსი გენერალი, რომელიც სოხუმის რესტორანში არყით გამტყვრალი აფხაზეთის რუკისკენ იშვერს ხელს და მთელი დარბაზის გასაგონად ყვირის — **„ამხანაგებო, მე თქვენ გეკითხებით, ამ მიწიერ სამოთხეში რატომ უნდა იყოს ერთი და იგივე ხალხი მუდმივად?! აქ მორიგეობით უნდა ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები!..“** შემდეგ სანაპიროსკენ იყურება, სადაც შიშველი რუსი ტურისტები ირუჯებიან და პათეტიკურად აგრძელებს — **„აი, ჩვენი უძლიერესი იარაღი... მათ სამ მილიონამდე შემოგისახლებთ და ყოველგვარი ძალადობის გარეშე, კულტურულად დაგიპყრობთ... არ გაინტერესებთ, რა ჰქვია ამ ოპერაციას მინიმალური დანაკარგებით? — ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ: „სექსუალური დესანტი!“**

მოთხრობა **„გამცილებლებში“** ნათლად ჩანს აფხაზი კაცის სულგრძელობა — მიუხედავად ომისა და ქართველთა მიმართ მტრული დამოკიდებულებისა — დისთვის მიცემული სიტყვის უპირობოდ შესრულება და უძველესი ტრადიციის პატივისცემა. მამა-შვილი ბაგრატ და ასთამურ ასაბები გაგრაში პედაგოგ დასთან ჩადიან. საშინელი ძმათამკვლელი ომია, დანგრეული სახლები, დახოცილი ხალხი, გაუკაცრიელებული ქალაქი და პედაგოგი დის სახლში შეფარებული ქართველი ახალგაზრდა, რომელიც მისი აღზრდილია. ეს რომ გადამთიელებმა გაიგონ, ოჯახის პატრონს ადგილზე დახვრეტენ, მაგრამ ქალბატონი თავის აღზრდილს მტრებს ხელში ვერ ჩაუგდებს. იგი ძმას და ძმისწულს სთხოვს, როგორმე სამშვიდობოს გაიყვანონ ბიჭი. მიუხედავად იმისა, რომ მამიდის აღზრდილსა და ძმისწულ ასთამურს ერთმანეთთან ძველი შუღლი აქვთ, აფხაზი მამა-შვილი დავალებას პირნათლად ასრულებს. — **„საზღვარზე“ ბოძზე მიკრულ ფირფიტას ბატიფეხურად აწერია — „როსსია“. კბილებამდე შეიარაღებულ სამხედროს, ვისშიც მამამისის მეგობარი დაური ამოიცნო, ძვირფასეულობას აძლევს, საზღაურს იმისას, რომ სამშვიდობოზე გადაიყვანონ.**

— ცოტაოდენი ფული და ოქროულობა უნდა გადმოგცეთ.

— ჩვენს შორის ეგეთი რამ ვინ გაიგონა?! — გაწყრა სამხედრო.

— ეგ იმათთვისაა, — საზღვრისკენ მიუთითა რენომ.

— იმდენი გვერდები არ აუდგეთ მაგ სვავებს, მაგათ! — დაიღრინა სამხედრომ, — შენ ეგ რაღაცები შეინახე, ვინ იცის, სად ან როგორ დაგჭირდება, — დაარიგა და მანქანისკენ უბიძგა“.

უცრემლოდ ვერ წაიკითხავ ვერც ერთ მოთხრობას. ზემოთაც აღვნიშნე, ეს კრებული იმ თაობისთვისაა განკუთვნილი, ვისთვისაც სამშობლო აფხაზეთი — ენგურს გაღმაა. ეს წიგნი იმ თაობისთვისაა განკუთვნილი, ვისთვისაც ქართველები — ენგურს გამოღმა ცხოვრობენ... იქნებ, ჩვენ, ვინც ვიწვნიეთ ომის უბედურება, ენგურსგაღმა-გამოღმელ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს დავანახვოთ, რომ მტერი ერთმანეთში კი არა, სულ სხვაგანაა საძებნი...

ეს შეძლო ზურაბ თორიამ თავისი მართლაც შესანიშნავი მოთხრობებით!..

მამუკა ვაშაკიძე

„... შენს მიწას მიმაბარეო“

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათშორისი კომისია შეიქმნა.

როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა **ქეთევან ციხელაშვილმა** განაცხადა, კომისიის შემადგენლობაში ათი სხვადასხვა უწყების წარმომადგენელი შედის.

„ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ 1990-იანი და 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, დაკარგულად ითვლება 2 500-მდე ადამიანი. 2010 წლიდან წითელი ჯვრის ეგიდით ფუნქციონირებს ორი მექანიზმი ორმხრივი — ქართულ-აფხაზური და სამმხრივი — ქართულ-რუსულ-ოსური მექანიზმი, რომელთა ფარგლებში დღემდე მოხერხდა 187 სამარხის გახსნა და იდენტიფიცირებულ იქნა 178 პირი. მათი ნეშტები დაუბრუნდა ოჯახებს. თუმცა, საერთო ციფრს თუ შევადარებთ, ცხადი,ა აშკარა ხდება, რომ 2 300 ადამიანი კვლავ რჩება უგზო-უკვლოდ დაკარგულად სიაში, რაც ძალიან დიდი ციფრია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვალდებულად მივიჩნევთ თავს, რომ კიდევ უფრო ეფექტური გახდეს მუშაობა, რა თქმა უნდა, წითელ ჯვართან ერთად, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს ამ პროცესში. მინდა, საერთაშორისო ორგანიზაციას მადლობა გადავუხადო ამ პროცესის წარმატებით წარმართვისთვის. მინდა, ამ მექანიზმების ყველა მონაწილეს მადლობა გადავუხადო, ვინაიდან მათთან თანამშრომლობის გარეშე, ამ სფეროში არაფერი გამოვა“, — განაცხადა ციხელაშვილმა.

მისივე თქმით, კომისიის მთავარი ამოცანა იქნება, რომ შეძლოს ძალიან ინტენსიურად და მაქსიმალურად კოორდინირებულად პროცესის წარმართვა.

№ 212. პარასკევი, 25 ოქტომბერი, 2019 წელი.

რა არის ნატოს ქარტიის მეხუთე მუხლი? რატომ არის ის მნიშვნელოვანი? შეიძლება თუ არა ქვეყანა ნატოში სრული ტერიტორიით გაწევრდეს, მაგრამ ალიანსის კოლექტიური თავდაცვა ერთ ნაწილს შეეხოს?

„ჰერიტიჯის ფონდის“ მკვლევარი ლუკ კოფი ამბობს, რომ ეს არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ ალიანსს რამდენიმე პრეცედენტი უკვე აქვს და ეს ეგრეთ წოდებული, „გერმანული პრეცედენტი“ არ არის. კოფის ამ თემებზე „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი ესაუბრა.

ეს ყბადაღებული V (მეხუთე) მუხლი...

— პირველ რიგში, განვსაზღვროთ, რა არის ნატოს მეხუთე მუხლი. ჩვენ ყველა ვსაუბრობთ მასზე, ყველას გაუგია რაღაცა მის შესახებ. რა არის ნატოს მეხუთე მუხლი?

— მეხუთე მუხლი, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების, იგივე ვაშინგტონის ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლია, რომელიც ამბობს, რომ ნატოს ერთ წევრზე თავდასხმა ყველა წევრზე თავდასხმას ნიშნავს. ეს ნატოს წევრების უსაფრთხოების გარანტიაა, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ის ალიანსის ქვაკუთხედია.

— შეიძლება თუ არა ნატოს არსებობა მეხუთე მუხლის გარეშე?

— არა. ეს არის ის, რაც ნატოს ნატოდ აქცევს. მის გარეშე ეს კავშირი უბრალოდ კლუბი იქნებოდა.

— საქართველო უკვე რამდენიმე წელია, ნატოში გაწევრებას ცდილობს, თუმცა ქვეყანას რამდენიმე დიდი გამოწვევა აქვს გადასალახი. თქვენ რას ფიქრობთ, საქართველოს შემთხვევა რთული შემთხვევაა ალიანსში გასაწევრებლად?

— კი, ეს რთული შემთხვევაა, მაგრამ ინოვაციური მიდგომებით და მკაფიო ლიდერშიპით ეს გამოწვევები შეიძლება მარტივად გადაილახოს. ამისთვის პოლიტიკური ნებაა საჭირო.

— თემა რომ გავხსნათ და დეტალებზე გადავიდეთ — რა არის „ზოგიერთი სირთულე“, რომელიც საქართველომ უნდა გადალახოს?

— ყველაზე დიდი გამოწვევა და სირთულე, რომელიც საქართველომ უნდა გადალახოს, იქიდან მომდინარეობს, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას აგრძელებს. როცა ევროპელებს, აქ, ადმინისტრაციაში ან კონგრესში ხალხს საქართველოზე ვესაუბრები, ეს ყოველთვის იკვეთება, როგორც შეშფოთების ერთ-ერთი ყველაზე დიდი საგანი. ისინი ხშირად კითხულობენ იმას, თუ, როგორ შეგვიძლია ალიანსში მივიწვიოთ ქვეყანა, რომელიც, ფაქტობრივად, ომშია რუსეთთან. ისინი ასევე კითხულობენ, ნიშნავს თუ არა ეს პირდაპირ ომს რუსეთთან იმის გამო, რომ რუსეთი საქართველოს სამხედრო ოკუპაციას აგრძელებს?

არსებობს გზები იმისთვის, რომ ეს გამოწვევები გადაილახოს. ამას მიზანმიმართული ლიდერობა, კრეატიულობა, დახვეწილი დიპლომატია სჭირდება. არ ვფიქრობ, რომ ტრანს-ატლანტიკური ურთიერთობა დღეს ამისთვის მზად იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც უნდა გავაკეთოთ, რათა საქართველო ფინიშის ხაზამდე ერთად მივიყვანოთ.

— ერთ-ერთი იდეა, რომელზეც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტიურად საუბრობენ, ისაა, რაზეც თქვენ შარშან ნაშრომი გამოაქვეყნეთ. კონკრეტულად კი ის, რომ საქართველო შეიძლება ნატოს წევრი გახდეს ისე, რომ მეხუთე მუხლის დაცვის გარანტია ქვეყნის მხოლოდ არაოკუპირებულ ტერიტორიაზე გავრცელდეს — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე კი კოლექტიური თავდაცვის გარანტიები ოკუპაციის დამთავრების შემდეგ გავრცელდეს. მეტი გვითხარით ამაზე, კონკრეტულად რა არის თქვენი შემოთავაზების დეტალები?

— ბუქარესტის სამიტიდან 10 წლისთავზე ვიფიქრე, რომ დროა, საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის ახალი გზების მოძიება დაგვეწყო. ამისთვის გვჭირდებოდა ახალი იდეები, ძველი ნორმების შეცვლაზე დაფიქრება. ამ ახალი იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ალიანსმა წევრად საქართველო სრულად, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მიიწვიოს, რაშიც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონიც შედის. მაგრამ მეხუთე მუხლის უსაფრთხოების გარანტია გავრცელდეს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომლის ოკუპაციასაც რუსეთი არ ახდენს. ეს პრინციპი საქართველოსთვის ადვილად იმუშავებს იმის გამო, რომ ქვეყანას უკვე დადებული აქვს ძალის გამოუყენებლობის პირობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამიტომაც ვიფიქრე, რომ თუ საქართველოს უკვე აქვს გადაწყვეტილი და პირობა დადებული, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძალას არ გამოიყენებს, მაშინ რად უნდა მეხუთე მუხლის უსაფრთხოების გარანტია ამ ტერიტორიებზე? თუ საქართველო ამ პრინციპით გაწევრდა ნატოში, მაშინ არა მხოლოდ ძალის გამოუყენებლობის პირობა იქნება საქართველოს მხრიდან დაცული, არამედ ეს ალიანსის ზოგიერთი წევრის პრეცედენტსაც გაიმეორებს. ნატოში რამდენიმე ქვეყანაა ისეთი, რომელიც სრული ტერიტორიით არის ნატოს წევრი, მაგრამ მე-5 მუხლი მხოლოდ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება. მათ შორისაა შეერთებული შტატები, მაგალითად ჰავაის და გუამს მეხუთე მუხლი არ იცავს. დიდი ბრიტანეთის ფოლკლენდის კუნძულები მეხუთე მუხლით არ არის დაცული.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული, „გერმანული პრეცედენტი“ საქართველოს არ მიესადაგება? ამ სტუდიაშიც არაერთხელ მისაუბრია სხვადასხვა ადამიანთან ამ პრეცედენტის საქართველოსთან კავშირზე. ჰავაისა და ფოლკლენდის შემთხვევები თუ უფრო მეტად მიესადაგება საქართველოს, მაშინ არის თუ არა „გერმანიის პრეცედენტი“ საერთოდ სხვა კატეგორია?

— ხშირად მესმის, ეგრეთ წოდებულ, „გერმანიის ვარიანტზე“ საუბარი. ცივი ომის დროს აღმოსავლეთ გერმანია ოკუპირებული იყო საბჭოთა კავშირის მიერ, დასავლეთი კი ნატოში მიიწვიეს. აღმოსავლეთ გერმანია ნატოს წევრი მხოლოდ გერმანიის გაერთიანების შემდეგ გახდა. მე ეს ანალოგია არ მომწონს იმის გამო, რომ გერმანიისა და საქართველოს სიტუაცია განსხვავებულია. თუ პრეცედენტების მონახვა გვინდა, ჩემს მიერ ჩამოთვლილი პრეცედენტები უფრო მიესადაგება საქართველოს, ანუ შემთხვევები, როცა ქვეყანა მთელი თავისი ტერიტორიითაა ნატოს წევრი და მეხუთე მუხლის გარანტიები მხოლოდ მის ერთ ნაწილზე ვრცელდება.

— ამ შემთხვევაში ოკუპაციას აქვს დატვირთვა? რამდენადაც მე მესმის, გერმანიის პრეცედენტზე საუბრის საფუძველი ისაა, რომ აღმოსავლეთ გერმანია, სწორედ რომ, ოკუპირებული იყო საბჭოთა კავშირის მიერ. ჰავაი და ფოლკლენდის კუნძულები ოკუპირებული არ არის.

— კი, მაგრამ ფოლკლენდის კუნძულების ოკუპაცია, ერთხელ - 1982 წელს უკვე მოხდა. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცივი ომის დროს აღმოსავლეთ გერმანიის საერთაშორისო აღიარება განსხვავდებოდა იმისგან, რაც დღეს ის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაშია. ვფიქრობ, ფოკუსირება იმაზე უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანა შეიძლება იყოს ნატოს წევრი ისე, რომ მისი სრული ტერიტორია არ იყოს დაცული მეხუთე მუხლით. ამისთვის მექანიზმები არსებობს.

ამ მექანიზმების ამუშავება ქვეყნის ალიანსში მიღების დროს ხდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მე-6 მუხლის შესწორება. მე-6 მუხლი განსაზღვრავს პირობებს, რომლის მიხედვითაც მე-5 მუხლის გარანტიები უნდა გავრცელდეს წევრ ქვეყანაზე. მას ერთი ან ორი წინადადების დამატება დასჭირდება, რომლებიც იტყვის, რომ საქართველო მე-5 მუხლით იქნება დაცული, თუმცა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები ვერ აკმაყოფილებს კოლექტიური თავდაცვის კრიტერიუმებს, რომ ეს დროებითი ზომაა იმ დრომდე, სანამ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით არ გადაიჭრება. მე-6 მუხლი ორჯერ შეიცვალა, ერთხელ 1950-ანებში, როცა თურქეთი და საბერძნეთი შეუერთდნენ ალიანსს და შემდეგ 1960-ანებში, როცა ალჟირი საფრანგეთისგან დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.

— რამდენად განსხვავდება გლობალური გარემოებები დღეს? მე-6 მუხლის შეცვლა აუცილებელი ელემენტია, მაგრამ ალიანსში დამოკიდებულებები იგივეა, როგორც წარსულში? როგორი იყო გარემო მაშინ და როგორია დღეს?

— მაშინ სიტუაცია ძალიან განსხვავებული იყო. დღეს ამერიკის ადმინისტრაციას სკეპტიკურად აფასებენ და თითქმის მთელ ევროპაში სიფრთხილით უყურებენ. ამასთან ამერიკაში გაისად საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ თეთრი სახლის ყურადღება მთლიანად შიდა საქმეებზე იქნება გამახვილებული და დიდი ენერგია არ დაიხარჯება გეოპოლიტიკური საკითხების გადაჭრაზე, როგორზეც ჩვენ ვსაუბრობთ. ასევე, დღეს ევროპაში რამდენიმე ქვეყანაა, რომლებსაც რუსეთთან ახლო ურთიერთობა აქვთ, მაგალითად გერმანიას. ისინი ამას არ აღიარებენ, მაგრამ ალიანსში მხოლოდ ერთი ქვეყნის უარიც საკმარისია იმისთვის, რომ გადაწყვეტილება არ იქნეს მიღებული. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წინადადებისთვის დღეს სახარბიელო დრო არ არის, მაგრამ დღეს უნდა დავიწყოთ დაგეგმვა და საფუძვლის ჩაყრა იმისთვის, რომ მომავალში მივიდეთ მიზნამდე. ამერიკაში, ევროპაში პოლიტიკური ვითარება ადრე თუ გვიან შეიცვლება. თუ ამერიკა, დიდი ბრიტანეთი ამ თემის განხორციელებას სათავეში ჩაუდგებიან, საქმე გაადვილდება.

ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ამ სცენარში არ ჩანს, საქართველოს მთავრობაა. საქართველოს მთავრობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე ლიდერობა, მან უნდა აუხსნას ქართველ ხალხს ის, თუ რატომაა ეს წინადადება დადებითი, რატომ არ არღვევს ეს წინადადება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სანამ ისინი ამას არ გააკეთებენ, არ უნდა იყოს იმის მოლოდინი, რომ ვაშინგტონი, ლონდონი თუ პარიზი ამ საკითხს აიტაცებენ.

— საქართველოს მთავრობა სიფრთხილეს იჩენს ამ თემასთან დაკავშირებით რამდენიმე მიზეზის გამო. ერთი ისაა, რომ პროპაგანდის და შეგნებული დეზინფორმაციის გამო, საზოგადოებაში გაურკვევლობა და დაბნეულობა ჭარბობს. პოლიტიკურად რთულია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რასაც შედეგი შეიძლება წლების მანძილზე არ მოჰყვეს. როგორ შეიძლება მთავრობამ ამას თავი გაართვას?

— მე მესმის ეს. პოლიტიკაში საკმარისი დროით ვიყავი ჩართული იმისთვის, გამეგო, რომ პოლიტიკოსებს არ უყვართ რთული თემების ახსნა ამომრჩევლისთვის. განსაკუთრებით საარჩევნო სეზონის დროს. მაგრამ თუ მთავრობამ ეს პრიორიტეტად დაისახა, თუ ამ ძალისხმევაში იმ ოპოზიციურ პარტიებსაც ჩართავს, რომლებიც საქართველოს ნატოში გაწევრებას უჭერენ მხარს, ვფიქრობ, საქმე გაკეთდება. ხალხმა უნდა დაინახოს ხელმძღვანელობა, უნდა დაინახოს, რომ ვიღაც პროგრესისკენ მიდის. ერთი, რაც უნდა გვახსოვდეს ისაა, რომ სანამ ამ იდეის მხარდაჭერა თბილისში არ გაჩნდება და თბილისიდან არ წამოვა, დასავლეთში ამ იდეით არავინ იხელმძღვანელებს. და ეს გასაგებიცაა.

მესმის, როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა. ის განცხადება, რომ ამ წინადადების თანახმად საქართველო ტერიტორიულ მთლიანობას დაკარგავს აბსოლუტურად არასწორია. ნატომ საქართველოს არასოდეს უნდა სთხოვოს ტერიტორიებზე უარის თქმა. ნატო ამას არც ითხოვს. ერთ-ერთი რამ, რაც საქართველოსკენ მიმიზიდა, მისი კულტურა, ხალხი, ტრადიციები, ისტორიაა. მოხიბლული ვარ ქვეყნით, რომელიც 2 ათას წელზე მეტია, არსებობს. საქართველო კიდევ 2 ათასი და მეტი წელი გააგრძელებს არსებობას, ალბათ, იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ნატო. ანუ, თუ კითხვა იმაში მდგომარეობს, ნატოში გაწევრდე თუ ტერიტორიებზე თქვა უარი, ვიტყოდი, რომ ტერიტორიებზე არ თქვა უარი.

— რა პოზიცია აქვს ამ ყველაფერში რუსეთს? როგორ უნდა შეძლოს საქართველომ მისი ზეწოლისთვის თავის გართმევა? რა შეიძლება იყოს საქართველოს კონტრარგუმენტები?

— რუსეთს ასეთი ბიზნეს მოდელი აქვს: როცა მათ ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეჩერება სურთ, ისინი ქვეყანაში სამხედრო ძალით შეიჭრებიან და ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას ახდენენ. მათ იციან, რომ ამით ინტეგრაციის პროცესი შეჩერდება. ეს მოხდა მოლდოვაში, უკრაინაში, საქართველოში... ეს წინადადება რუსეთს ართმევს დე ფაქტო ვეტოს უფლებას...

— ახლა უფრო მექანიკაზე ვსაუბრობთ. საქართველოს ნატოში გაწევრება პოლიტიკურ ნებას დიდწილად უკავშირდება. ამაში საქართველოს მხრიდან პოლიტიკური ნებაც შედის. რა უნდა გააკეთოს საქართველომ იმისთვის, რომ ნატომ გაფართოება ვერ შეძლოს ისე, თუ, პირველ რიგში, საქართველო არ მიიწვია ალიანსში?

— მესმის, რამდენად იმედგაცრუებულები შეიძლება იყვნენ ქართველები. ისინი დიდ მსხვერპლს იღებენ ავღანეთში, საქართველო მზადაა, ინვესტიციები ჩადოს თავდაცვაში, გარდაქმნას თავდაცვის პროცესი, გააგრძელოს დემოკრატიული პროცესები... საქართველოში ბევრი ამბობს, რომ მეტი რაღა უნდა გავაკეთოთო. ამაზე ვიტყოდი, რომ მეტი ბევრი არაფერი — ყველაზე დიდი წინაღობა აქ რუსული ოკუპაციაა. ჩემი მხრიდან მარტივია ამის თქმა, მაგრამ საქართველოს მოთმინება მართებს. ქვეყანამ დემოკრატიული პროცესები უნდა გააგრძელოს და საქართველოს მთავრობამ ეს თემა უნდა წამოწიოს. როცა ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს შეერწყმება, ვფიქრობ, შევძლებთ საქართველოს ფინიშის ხაზამდე მიყვანას.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ბექარ მუხაშავრიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბექარ მუხაშავრია (პ/ნ 61001064310), ქ. ბათუმი, ქათამაძის 32, სართული 1-2, ბინა 2.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ბათუმი, ქათამაძის 32, სართული 1-2, ბინა 2 (საკადასტრო კოდი: 05.30.11.054.01.002).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16043.53 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 25 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 8 ნოემბერი, 13:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP63185019;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 631850

6. **მოვალე:** ნინელი ხახუტაიშვილი (პ/ნ 61004019788), ქ. ბათუმი, ქათამაძის 32.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63185019; ლოტის ნომერი: 631850).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 8 ნოემბრის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამაზ მურჯიკნელის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამაზ მურჯიკნელი (პ/ნ 01005015891), თბილისი, დიღმის მასივი, 2 კვ, კორპ. 6ა, ბინა №36.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, დიღმის მასივი, 2 კვ, კორპ. 6ა, ბინა №36 (საკადასტრო კოდი: 01.13.04.012.003.01.036).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16272.52 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 25 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 8 ნოემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP63183719;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 631837

6. **მოვალე:** თამაზ მურჯიკნელი (პ/ნ 01005015891), თბილისი, დიღმის მასივი, 2 კვ, კორპ. 6ა, ბინა №36.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63183719; ლოტის ნომერი: 631837).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 8 ნოემბრის 11:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გენადი ანანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გენადი ანანოვი (პ/ნ 01003020072), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპ. 25, ბინა 211.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპ. 25, ბინა 211 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.007.001.01.01.211).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 32658.86 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 25 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 8 ნოემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP63184619;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 631846

6. **მოვალე:** ალექსანდრე ანანოვი (პ/ნ 01003013147), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპ. 25, ბინა 211.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63184619; ლოტის ნომერი: 631846).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 8 ნოემბრის 11:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გელა ჭადაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გელა ჭადაშვილი (პ/ნ 57001009609), ქ. ხაშური, თევდორე მღვდლის ქ. 42, სართული 4, ბინა 22.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ხაშური, თევდორე მღვდლის ქ. 42, სართული 4, ბინა 22 (საკადასტრო კოდი: 69.08.15.010.01.022).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11334.57 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 25 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 8 ნოემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP63184419;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 631844

6. **მოვალე:** ქეთევან ჭადაშვილი (პ/ნ 57001048514), ქ. ხაშური, თევდორე მღვდლის ქ. 42, სართული 4, ბინა 22.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63184419; ლოტის ნომერი: 631844).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 8 ნოემბრის 11:00 საათამდე.

ყიფიანის თასი

პირველად და მეხუთედ...

მაშ ასე, 7 დეკემბერს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნულ თასს დედაქალაქის კლუბები — „საბურთალო“ და „ლოკომოტივი“ გაითამაშებენ. ეს ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის პირველი სატიტულო ბრძოლა იქნება, ოღონდ მისი გამართვის ადგილი მოგვიანებით დადგინდება.

რაც შეეხება მის მომავალ მეტოქეს, რკინიგზელები 14-წლიანი პაუზის შემდეგ მეხუთედ არიან წოდების ზღურბლთან. წინა ოთხი ცდიდან მათ სამჯერ მიაღწიეს მიზანს — 2000, 2002 და 2005 წლებში და მხოლოდ 2001 წელს დამარცხდნენ ქუთაისის „ტორპედოსთან“ პენალტების სერიაში.

არანაკლებ ქებას იმსახურებს მეოთხელიგელი(!) საგარეჯოს „გარეჯიც“, რომელიც, მართალია, არსებობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მატჩამდე ორი დღით ადრე მთავარმა მწვრთნელმა დავით ქოქიაშვილმა დატოვა, მაგრამ ლევან კორღაძის გუნდის წინააღმდეგ მაინც ღირსეულად გამოიყურებოდა და არსენ მეკოკიშვილის სახელობის სტადიონის სარბიელი თავაწეულმა დატოვა — 2:3.

სხვათა შორის, ნურც რიონისპირელთა მიმართ დავიშურებთ დითირამბებს და აი, რატომ. უკვე გახმაურებული ფინანსური პრობლემების გამო კახა ჩხეტიანი პროტესტის ნიშნად ფავორიტთან გასამკლავებლად ახალგაზრდული შემადგენლობის გამოყვანას აპირებდა, მაგრამ გაითვალისწინა გულშემატკივართა პოზიცია და გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებს ძირითადი ბირთვი დაუპირისპირა.

თითქმის უვარჯიშებელმა ბიჭებმა, რომ იტყვიან, მინდორზე ძვლები დატოვეს და მხოლოდ შესვენების შემდეგ გატყდნენ — 0:2. ისიც სათქმელია, რომ იმერლებს ქვეყნის ნაკრების ტრავმირებული მეკარე როინ კვასხვაძე აკლდათ.

ცალკე სასაუბრო თემაა მისი შემცვლელი 16 წლის ვუნდერკინდი დავით ასათიანი, რომელმაც ეროვნული ლიგის სეზონში უკვე ორი პენალტი მოიგერია და თავი არც ამჯერად შეურცხვენია, მაგრამ...

ბეჟან დოლიძე

ჩემპიონთა ლიგა

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი

ლიონელ მესის, აბა, რომელი რეკორდი ექნებოდა მოსახსნელი?

როგორც გაირკვა, ასეთიც არსებობდა და ლეგენდარულმა არგენტინელმა ისიც დაამხო. საუბარია ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეთხუთმეტე შეხვედრაში გატანილ ბურთზე, რაც პრაღაში მოხდა. მართლაც რომ ამოუწურავია ადამიანის შესაძლებლობანი.

ჯგუფური რაუნდის პირველი წრის ფინიში სხვა აღსანიშნავი მოვლენებითაც გამოირჩა. მაგალითად, დრის მერტენსმა „ნაპოლის“ მაისურით 116-ე გოლი მიითვალა და თვით დიეგო მარადონას გადაასწრო. სატრაბახოდ აქვს საქმე ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მოქმედ გვირგვინოსან „ლივერპულსაც“, რომელიც „მანჩესტერის“, „არსენალისა“ და „ჩელსის“ შემდეგ ფეხბურთის სამშობლოს მეოთხე კლუბი გახდა, რომელმაც ელიტურ საზოგადოებაში მეტოქეთა მეკარეები 200-ჯერ დაამწუხრა. აღტაცებას იწვევს შემტევი ტაქტიკის აპოლოგეტ „ზალცბურგის“ ჭაბუკ ნორვეგიელ ბომბარდირ ერლინგ ჰაალანდის მიღწევაც. აქამდე სამ სადებიუტო მატჩში ერთბაშად 6 ზუსტი დარტყმა არავის შეუსრულებია.

მეოთხე ტურის შედეგები: „ე“ ჯგუფი. „გენკი“ — „ლივერპული“ 1:4, „ზალცბურგი“ — „ნაპოლი“ 2:3. **სატურნირო მდგომარეობა:** „ნაპოლი“ — 7, „ლივერპული“ — 6, „ზალცბურგი“ — 3, „გენკი“ — 1 ქულა. **„ვ“ ჯგუფი.** „ინტერი“ — „დორტმუნდი“ 2:3, „სლავია“ — „ბარსელონა“ 1:2. **სატურნირო მდგომარეობა:** „ბარსელონა“ — 7, „ინტერი“, „დორტმუნდი“ — 4-4, „სლავია“ — 1 ქულა. **„ზ“ ჯგუფი.** „ლაიფციგი“ — „ზენიტი“ 2:1, „ბენფიკა“ — „ლიონი“ 2:1. **სატურნირო მდგომარეობა:** „ლაიფციგი“ — 6, „ზენიტი“, „ლიონი“ — 4-4, „ბენფიკა“ — 3 ქულა. **„თ“ ჯგუფი.** „აიაქსი“ — „ჩელსი“ 0:1, „ლილი“ — „ვალენსია“ 1:1. **სატურნირო მდგომარეობა:** „აიაქსი“, „ჩელსი“ — 6-6, „ვალენსია“ — 4, „ლილი“ — 1 ქულა.

.გიორგი შოთაძე

ლეგიონერი

დებიუტი გადაიდო

ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მე-6 ქართველის დებიუტი სეზონის გახსნის მატჩში არ შედგა. გოგა ბითაძე „ინდიანა პეისერზის“ „დეტროიტთან“ საშინაო შეხვედრის განაცხადში მოხვდა, მაგრამ მოედანზე არ გასულა. ბრძოლა სტუმრებმა 119:110 მოიგეს.

მწვრთნელმა ნეით მაკმილანმა 13-კაციანი განაცხადიდან მხოლოდ გოგა და ჯაკარ სემპსონი არ ათამაშა. მასპინძელთა ძირითადმა ცენტრმა მაილს ტერნერმა გუნდს 25 ქულა მოუტანა (9 მოხსნა, 3 ბლოკი), ხოლო დომანტას საბონისის ანგარიშზე ორმაგი დუბლია — 27 ქულა, 13 მოხსნა. გამარჯვებულთა რიგებში ფანტასტიკურად ითამაშა ანდრე დრამონდმა — 32 ქულა, 23 მოხსნა, 4 ბლოკი, 3 ჩაჭრა, 2 პასი.

შემდეგ მატჩში „ინდიანა“ 27 ოქტომბერს კლივლენდს ესტუმრება და, იმედია, გოგას დებიუტიც „კავალიერზის“ წინააღმდეგ შედგება.

ვიტალი ჯაფარიძე

სპორტი და პოლიტიკა

უკრაინის სახელით

უკრაინის სპორტის ყოფილი მინისტრი იგორ ჟდანოვი მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) დამფუძნებელთა საბჭოს წევრი გახდა. მან არჩევნებში თურქეთის სპორტის მინისტრი მეჰმეთ მუჰარემა ქასაფოღლუ ერთი ხმით დაამარცხა.

„დღეს ევროპის მინისტრთა საბჭომ დამამტკიცა WADA-ს დამფუძნებელთა საბჭოს წევრად. ეს არის არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი უკრაინული სპორტული საზოგადოების გამარჯვება, რადგან ჩვენი ქვეყანა პირველად არის წარმოდგენილი WADA-ში. ამ პოზიციაზე მე ვიბრძოლებ სუფთა სპორტსმენთა უფლებების დასაცავად, ყველა ქვეყნის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულებისთვის, დოპინგის გამოყენებაზე პასუხისმგებლობის გასაძლიერებლთდ, რუსეთის მსოფლიო სპორტიდან მოსაკვეთად, რადგან იქ სახელმწიფო დონეზე აიძულებენ სპორტსმენებს გამოიყენონ აკრძალული პრეპარატები და გააყალბონ მათი სინჯები“, — დაწერა „ფეისბუქში“ ჟდანოვმა.

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს დამფუძნებელთა საბჭოს სხდომა 7 ნოემბერს პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში გაიმართება, სადაც ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. ბრიტანელი კრეიგ რიდი პოლონეთის სპორტის მინისტრმა ვიტოლდ ბანკამ უნდა შეცვალოს, რომელიც ერთადერთი კანდიდატია WADA-ის პრეზიდენტის პოსტზე.

მანუჩარ გიორგაძე

64

დინამიური კომპოზიციების შემოქმედი

გერმან მატისონი
1894-1932

„შუა თამაშში მეფე მხოლოდ სტატისტია, სამაგიეროდ, ენდშპილში მთავარი აქტიორია“.

არონ ნიმცოვიჩი

როცა შეუძლებელი შესაძლებელი ხდება

გ. მატისონი
„შახმატნი ლისტოკ“ (1927)
I პრიზი



1. მf7+ მეg8 2. a7 ეe8 3. მd6 ეd8 4. მf5! კf8 5. b6 კc5 6. მe7+ მეf7 7. მc8! ე:c8 8. b7

გ. მატისონი
„ატპუტა“
1930



1. ეd5! ე:d5 2. კe3! ეg5 3. კf7+ ეg6 4. მეh2

და ეტლი იკარგება. ამრიგად, თეთრები იგებენ.

გერმან მატისონი დაიბადა რიგაში. იქვე პირველ წარმატებებს მიაღწია პრაქტიკული თამაშისას — მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში, რომლებიც რეგულარულად იმართებოდა სხვადასხვა ქვეყანაში: პარიზში (1924) — I ადგილი და ჰააგაში (1928) — III ადგილი დაიკავა.

საერთაშორისო ასპარეზობაში ბარდეევში (1926) I-II ადგილები გაიყო საველი ტარტკოვერთან ერთად.

თავკაცობდა ლატვიის გუნდს მსოფლიო ოლიმპიადაზე.

1931 წელს თვით ლეგენდარული ალექსანდრ ალიოხინი დაამარცხა. ეს მსოფლიო ჩემპიონის ერთადერთი წაგება გახლდათ 1931-1939 წლების საოლიმპიადო შეჯიბრებებში.

მატისონი მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი იყო. მან 1911 წლიდან შექმნა 60-ზე მეტი ეტიუდი, რომლებიც პრიზებით აღინიშნა.

ამ საჭადრაკო კომპოზიტორის შემოქმედება გამოირჩევა თამაშის დინამიურობით, პოზიციის აღქმით და ფილიგრანული ტექნიკით.

თამაზ შენგელია

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ძვეძნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს ბათუმის შემოვლითი გზის კმ1+000 - კმ13+325 მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში – პროექტი).

პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო არეალში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა ქალაქ ბათუმში, თბილისის ქუჩა 9-ში მდებარე, მოქალაქეების: დავით ბერიძის (პ/ნ 61007002935), მავილე ველიაძის (პ/ნ 61006047826) და ნინო ბერიძის (პ/ნ 61007005467) თანასაკუთრებაში არსებული შემდეგი მიწის ნაკვეთები (შემდგომში – საექსპროპრიაციო ქონება):

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.34.25.683), მასზე არსებული შენობა-ნაგებობები და ნარგავები;

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 601 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.34.25.702), მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები. დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან: დავით ბერიძესთან (პ/ნ 61007002935), მავილე ველიაძესთან (პ/ნ 61006047826) და ნინო ბერიძესთან (პ/ნ 61007005467) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №1-1/398 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება შემდეგ უძრავ ქონებაზე:

1. უძრავი ქონება ს/კ 05.34.25.683 (მდებარე ბათუმი, თბილისის ქუჩა №9, 1000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობის ჩამონათვალი №1 საერთო ფართი 595.87 კვ.მ (მათ შორის I სართული ფართით 187.3 კვ.მ, II სართული ფართით 231.9 კვ.მ, სხვენი ფართით 176.67 კვ.მ), №2 საერთო ფართით 18.39 კვ.მ, №3 საერთო ფართით 3.42 კვ.მ) მესაკუთრეები: დავით ბერიძე (პ/ნ 61007002935), მავილე ველიაძე (პ/ნ 61006047826), ნინო ბერიძე (პ/ნ 61007005467) საექსპროპრიაციო ფართი სრულად.

2. უძრავი ქონება ს/კ 05.34.25.702 (მდებარე ბათუმი, თბილისის ქუჩა №9, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 601. კვ.მ, შენობა/ნაგებობის ჩამონათვალი № 1 საერთო ფართით 21.74 კვ.მ) მესაკუთრეები დავით ბერიძე (პ/ნ 61007002935), მავილე ველიაძე (პ/ნ 61006047826), ნინო ბერიძე (პ/ნ 61007005467) საექსპროპრიაციო ფართი სრულად.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, ქალაქ ბათუმში, თბილისის ქუჩა №9-ში მდებარე, მოქალაქეების: დავით ბერიძის (პ/ნ 61007002935), მავილე ველიაძის (პ/ნ 61006047826) და ნინო ბერიძის (პ/ნ 61007005467) თანასაკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.34.25.683), მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებსა და ნარგავებზე;

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 601 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.34.25.702), მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებსა და ნარგავებზე.

რ ე კ ლ ა მ ა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ჩიქობავას ქ. №42/5. 599 79-76-79; 568 82-09-84

სანთელი

მაღლი სანთელ-საკმევლისა

თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილთან გამოსათხოვარი

ახლახან განვასრულე „ასოციაციები და ვარიაციები სიტყვათაგან კოჰელეთისა, დავითის ძისა, იერუშალაიმის მეფისა“, რომელიც ჩემი კოლეგისა და მეგობრის თამარ მამისთვალოვის მიერ ნაჩუქარი, ივრითიდან ქართულად ამეტყველებული იმ წმინდა წიგნის ზემოქმედებით შეიქმნა, რომლის სათაურია „თანახის წიგნები ქეთუბიმიდან“. ამ წიგნში შესულია „რჩევა-დარიგება შელემოსი, ისრაელის მეფისა“, „დანიელი“, „ნეემია“ და „კოჰელეთი“, რომელიც ქრისტიანულ წმინდა წიგნებში ეკლესიასტედ მოიხსენიება. „ასოციაციები და ვარიაციები“ სწორედ მათ შთამაგონებელს, ამ საღვთო წიგნის დიდებულად მთარგმნელს მივუძღვენი და მინდოდა, პირველად სწორედ მას წაეკითხა, მით უფრო, რომ ამის რეალური შესაძლებლობა მომეცა. ქუთაისში სტუმრად იმყოფებოდა ძირძველი ქუთაისელი მანანა არონიშვილი, რომელიც ისრაელში ასვლამდე ჩემი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ქუთაისში“ აქტიურად თანამშრომლობდა. შევხვდი კიდეც და რამდენიმე მის სხვა მეგობართან ერთად მეც მივიღე საჩუქარი – იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში შეძენილი თაფლის სანთელი, მაგრამ მერე სამწუხარო ამბავი შემატყობინა: ქალბატონი თამარი რამდენიმე დღის წინათ მივაბარეთ იერუსალიმის წმინდა მიწასო.

ჭეშმარიტად გამორჩეული ჟურნალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და დიდებული ოჯახის დედა ბრძანდებოდა ქალბატონი თამარი, რომელიც კარგა ხანს ხელმძღვანელობდა საქტელერადიოს რადიოგადაცემათა საკორესპონდენტო პუნქტს აფხაზეთში, ისრაელში ასვლის შემდგომ კი „ქოლ-ისრაელის“ ქართულ ენაზე გადაცემათა მთავარ რედაქციას. არასდროს დამავიწყდება 1990 წლის აგვისტოში ისრაელის მწერალთა კავშირის რესტორნის საოცრად პოეტურ გარემოში ჩემთვის საჩუქრად გადმოცემული თორას ხუთწიგნეულის კრებული, რომელიც ძმასთან და მათი მამის, ცნობილი რაბის, წმინდა წიგნების დიდებული მცოდნის იცხაკ მამისთვალოვის უნიჭიერეს შეგირდთან გერშონ წიწუაშვილთან (ბენ ორენთან) ერთად თარგმნა ივრითიდან, რისთვისაც 1994 წელს ამ სამეულს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიანიჭეს. არც იმის დავიწყება შემიძლია, ისრაელიდან საქართველოში ჩამოსული, ქუთაისში ჩემთან სტუმრობისას რა გულისყურით ეძებდა თითოეულ გამონათქვამსა და ფრაზას ჩვენი ორი ერის საუკუნოვან მეგობრობაზე, რათა ერთი შეხედვით წვრილმანიც კი დიქტოფონზე ჩაეწერა. განსაკუთრებით „დანიელა ურიათი“ დაინტერესდა და აღთქმულ ქვეყანაში მისი დაბრუნების შემდეგ ამ სიმღერას მარტო ქართულენოვანი კი არა, სხვა გადაცემების დროსაც ვისმენდით. განსაკუთრებით ერთი რამის დავიწყების უფლება არა მაქვს. ამ 7 წლის წინათ, როდესაც მეუღლე გარდამეცვალა, პირადად მან, გერშონ ბენ ორენმა და რამდენიმე ჩვენმა საერთო მეგობარმა არა მხოლოდ გაზეთითა და საფოსტო გზავნილით მომისამძიმრეს, არამედ ტელეფონითაც დამიკავშირდნენ და მითხრეს: ვიცით, რა დღეში ხარ, შენთვის სასტუმრო დაჯავშნილი გვაქვს, ჩამოდი, რომ ტკივილი შეგიმსუბუქდესო.

დიახ, ასეთი გახლდათ ეს უაღრესად ღვთისნიერი ქალბატონი!

– კარგი სახელი სჯობია კარგ ნელსაცხებელს და სიკვდილის დღე – დაბადების დღეს! – ბრძანებს მის მიერ ქართულად ამეტყველებული კოჰელეთი.

დასტურ რომ ასეა!

ვინც პირადად თუ ვერა, მოთხრობებით, ნოველებით, რადიოგადაცემებით და მის მიერ ქართულად ამეტყველებული წმინდა წიგნებით მაინც იცნობდა ამ დიდებულ ქალბატონს, დაგვეთანხმება, რომ მისი იმიერში გაცილების დღე გაცილებით ღირსახსოვარია, ვიდრე დღე დაბადებისა.

პირადად მე, იმავე საღამოს, როგორც კი სამწუხარო ამბავი შევიტყვე, შინ დაბრუნებულმა მის ხსოვნას ის ძვირფასი სანთელი დავუნთე, რომელიც ჩემმა უმცროსმა კოლეგამ ისრაელიდან ჩამომიტანა.

სანთელ-საკმეველს 26 საუკუნის განმავლობაში გზა არასოდეს დაჰკარგვია და ღრმად მწამს, რომ მომავალშიც არასდროს დაეკარგება!

ალექსანდრე შენგელია

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ ისრაელში გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის დიდი გულშემატკივარი, მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, „თორისა“ და ძველი აღთქმის სხვა წიგნების ივრითიდან ქართულად მთარგმნელი, საქტელერადიოკომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი აფხაზეთში, აღთქმულ მიწაზე ასვლის შემდგომ კი „ქოლ-ისრაელის“ ქართულ ენაზე გადაცემათა ხელმძღვანელი, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატი, ქალბატონი

თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, სამეგობროსა და სრულიად საქართველოს.

ნუგზარ ფოფხაძე და არმაზ სანებლიძე ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა საქართველოს თვალსაჩინო მოღვაწე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მსუბუქი მრეწველობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, კრისტალური ადამიანი და მეგობარი

გიორგი გამცემლიძე

და გულითადად ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და სანათესაოს.

17 ქართული ფილმი საშუალოში ბრუნდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან ერთად რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდიდან“ ქართული კინომემკვიდრეობის დაბრუნების პროცესი გრძელდება.

უწყების ინფორმაციით, ამ ეტაპზე საქართველოში 17 ქართული ფილმი დაბრუნდება, მათ შორისაა ფილმი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულ ფილმად ითვლებოდა. საუბარია მიხეილ კალატოზიშვილის პირველ დამოუკიდებელ სარეჟისორო ნამუშევარზე „მათი სამეფო“, რომელიც ასევე პირველი ქართველი ქალი რეჟისორის ნუცა ღოღობერიძის სადებიუტო ნამუშევარს წარმოადგენს. ფილმში უნიკალური ქრონიკალური მასალაა გამოყენებული.

ეს ფილმები 1926-დან 1930 წლამდე პერიოდშია გადაღებული, სიძველის გამო ფილმების საწყისი მასალები სავალალო მდგომარეობაშია და სწორედ ეს იქცა პრიორიტეტად ფილმების შერჩევისას. გასული საუკუნის 20-იანი წლებში დაახლოებით 200-მდე მხატვრული და ქრონიკალური ფილმია შექმნილი, რუსეთის ფილმსაცავში კი მხოლოდ 54 ფილმი ინახება, რომელთა ნაწილი უკვე ჩამოტანილია. ყველა ფილმი „სახკინმრეწვის“ ბაზაზე შეიქმნა (1938 წლიდან „თბილისის კინოსტუდია, 1953 წლიდან „ქართული ფილმი“).

კულტურის სამინისტროს ცნობით, ქართული კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების პროცესი 2020 წელსაც გაგრძელდება, პრიორიტეტი კი კვლავ 20-იანი წლების ქართული ფილმები იქნება.

ამ ეტაპზე საქართველოში შემდეგი 17 ფილმი ჩამოვა:

„მათი სამეფო“ (1928) — რეჟისორები მ.კალატოზიშვილი, ნ. ღოღობერიძე; „ხანუმა“ (1926); „ორი მონადირე“ (1927); „ჯანყი გურიაში“ (1928) - რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა; „გოგი რატიანი“ (1927); „კრაზანა“ (1928); „კომუნარის ჩიბუხი“ — რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი; „ბელა“ (1927) — რეჟისორი ვლადიმერ ბარსკი; „გიული“ (1927) — რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია; „იბრაჰიმი და გოდერძი“ („პირველი და უკანასკნელი“ — 1927); „ღრუბელთა თავშესაფარი“ („ცხოვრებასთან შეხვედრა“ — 1928) — რეჟისორი ზაქარია ბერიშვილი; „ნორჩი მფრინავი“ (1928) — რეჟისორი ნიკოლოზ კახიძე; „ქალი ბაზრობიდან“ (1928) — რეჟისორი გიორგი მაკაროვი; „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (1928) — რეჟისორი მიხეილ გელოვანი; „ჩემი ბებია“ (1928 -ძველი ვერსია) — რეჟისორი კოტე მიქაბერიძე; „საბა“ (1929) — რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი; „მონანიება“ (1986) — რეჟისორი თენგიზ აბულაძე.

„მონანიების“ ჩვენებას 2 წელია ითხოვს კანის კინოფესტივალი სექციაში Cannes Classics, თუმცა საქართველოში არსებული ასლის დაბალი ხარისხის გამო, მისი ჩვენება აქამდე ვერ ხერხდებოდა. „გოსფილმოფონდიდან“ ამ ფილმის დაბრუნება მისი კანის კინოფესტივალზე ჩვენების საშუალებას იძლევა.

„გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინოარქივის სრულად საქართველოში დაბრუნების შეთანხმებას ხელი 2014 წელს მოეწერა.

„გოსფილმოფონდი“ მსოფლოს უდიდესი კინოარქივების ხუთეულში შედის, რომლის ფილმების კოლექციაში 70 000-მდე დასახელების კინოსურათი ინახება.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უშგულელი მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი უშგულელი მხატვრისა და მწერლის ფრიდონ ნიჟარაძის პირველ პერსონალურ გამოფენას უმასპინძლებს.

უშგულელი უნიკალური მხატვრის ფრიდონ ნიჟარაძის სახელი ბევრისთვის, ალბათ, სრულიად უცნობია, თუმცა, მას კარგად იცნობენ ის ქართველები და უცხოელი ტურისტები, რომლებიც ერთხელ მაინც მოხვედრილან უშგულში და სვანი მხატვრის ნამუშევრები უნახავთ.

„მასზე ბევრჯერ დაუწერიათ უცხოელებს, ბევრი სიუჟეტი მიუძღვნიათ საქართველოშიც, რადგან ძნელია, ნახო და არ გაოცდე, არ აღფრთოვანდე სვანეთის ერთი პატარა სოფლის პატარა სახლში გამოკეტილი ამ გენიალურობით“, — წერია ფრიდონ ნიჟარაძის გამოფენის შესახებ Facebook-ზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოფენა 2 ნოემბერს გაიხსნება და 15 ნოემბრამდე გაგრძელდება.

„ერთხელ ჰოლივუდში“... ახალი სცენებით

კვენტინ ტარანტინოს ფილმი „ერთხელ ჰოლივუდში“ აშშ-ის და კანადის კინოთეატრებში ახალი სცენებით დაბრუნდება.

25 ოქტომბრიდან ფილმის ახალ ვერსიას 1000 კინოთეატრში აჩვენებენ. დამატებითი სცენების გათვალისწინებით სურათის ქრონომეტრაჟი, რომელიც 2 საათს და 41 წუთს შეადგენს, კიდევ 10 წუთით გაიზრდება.

გასულ კვირას ჩინეთმა ბრიუს ლის ცემის სცენის გამო ფილმის ჩვენებაზე უარი განაცხადა და რეჟისორს სცენის ამოღება მოსთხოვა. ტარანტინომ ფილმის გადაკეთებაზე უარი განაცხადა. „ერთხელ ჰოლივუდში“ ტარანტინოს მე-9 ფილმია. სურათის პრემიერა კანის კინოფესტივალზე გაიმართა.

ლუვრში ნანატრი გამოფენა იხსნება

გამოფენა, რომლის მომზადებასაც თითქმის 10 წელზე მეტი დასჭირდა, მნახველებისთვის გუშინ გაიხსნა. გამოფენა და ვინჩის გარდაცვალების 500 წლისთავს ეძღვნება და დიდი მხატვრის 160-ზე მეტ ნამუშევარს აერთიანებს.

ლუვრის მუზეუმში რენესანსის პერიოდის ნახატებიდან და ესკიზიდან ნაწილი დედოფალ ელისაბედ მეორის და ბილ და მელინდა გეიტსების კოლექციიდან არის.

ივარაუდება, რომ გამოფენა შემდეგი ოთხი თვის განმავლობაში ნახევარ მილიონზე მეტ ვიზიტორს მოიზიდავს. ის შესაძლებლობას იძლევა, მნახველმა ლეონარდო და ვინჩის მუშაობის ტექნიკა თანამედროვე ინფრაწითელი გამოსახულების ტექნოლოგიისა და ვირტუალური რეალობის გამოყენებით, უფრო ახლოს გაიცნოს.



ინფრაწითელმა ნათებამ და ვინჩის დასრულებული ნახატის უამრავი საიდუმლო გამოავლინა — ნამუშევრის ქვედა შრეებში ნახატების რამდენიმე ფენა აღმოაჩინეს.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იქნება ლეონარდო და ვინჩის სამეცნიერო ნამუშევრები, ჩანახატები და გაკეთებული ჩანიშვნები.

რაც შეეხება მონა ლიზას, მხატვრის ყველაზე ცნობილ ნამუშევარს, ფიზიკური ფორმით გამოფენაზე გამოტანილი არ იქნება — ის ლუვრის დაცულ ადგილას, შემინულ ყუთში ინახება, თუმცა მნახველი მის დათვალიერებას „შუშის მიღმა“ შეძლებს.

ლუვრში ვირტუალური რეალობის გამოცდა პირველად იქნება შესაძლებელი — Vive Arts-ის ტექნოლოგიის შემქმნელების თქმით, მისი გამოყენებით მნახველი თვალით უხილავ ფრაგმენტებს ნათლად და გარკვევით აღიქვამს, ის ნამუშევრის ახლოდან დათვალიერებისა და დეტალური შესწავლის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9661; ევრო - 3.2965;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8186;
100 რუბლი - 4.6397; თურქული ლირა - 0.5142;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7447;
1000 სომხური დრამი - 6.2431.

ამინდი 25 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge